პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. ქ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ.-არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენ. ქ. № 4. მე-3 სართული
მთავარი კანტორა: თბილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის—19

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 230.000 მ. კოლექტიური 200,000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით, განცხადება—10 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათ. მ.

№ 297 სამშაბათი, 26 დეკემბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5,000 მან. № 297

დღიური

— მოსკოვში დიდი ზეიმით გაიხსნა საბჭოთა მეათე ყრილობა. სიტყვებით გამოვიდნენ: კალინინი, კამენევი, [illegible] და ლუნაჩარსკი.

— მოსკოვში ჩამოვიდა პოლონეთის რწმუნებული რუსეთის წარმომადგენელიც გაემგზავრა პოლონეთში.

— ლოზანის კონფერენციაზე კაპიტულაციის და ეკონომიურ ქვე-კომისიებმა ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწიეს.

— ლიტვა იცნეს იურიდიულათ.

— ანგორის მთავრობამ გასცა განკარგულება სტამბოლის ყოფილ მინისტრების ქონების კონფისკაციის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის სამაზრო და საოლქო კომიტეტებს

ცენტრალურ პარტიულ სკოლის სალექტორო კურსის შესახებ

ცირკულიარული

1) მიღება სალექტორო კურსზე დაიწყება 1923 წ. 15 იანვარს და დამთავრდება ამავე თვის 20 ს.

2) კურსი გაგრძელდება ერთ წელიწადს.

3) კურსის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური პროპაგანდისტები, ჯგუფების ხელმძღვანელნი ცენტრალური პარტიული სკოლისათვის, ლექტორები და ხელმძღვანელები სამაზრო საბჭოთა-პარტიულ სკოლებისა და მარქსისტულ წრეებისათვის.

4) კურსი იხსნება შემდეგი კათედრების შემადგენლობით: 1) ბუნებისმეტყველება, 2) ეკონომიკა, 3) ისტორია, 4) დიალექტიურ-მატერიალიზმი, 5) უფლება, 6) პოლიტიკურ-ეკონომიური გეოგრაფია, 7) პარტიული—საბჭოთა აღმაშენებლობა და ტაქტიკა.

5) თავისუფალ ადგილების რიცხვი უდრის—60; განაწილება თბ. კ.—10 ადგილი, ახ. კომ. კავ. ც. კ.—8, ქალთა განყ.—5., სამაზრო და საოლქო კომიტეტებს, თითოს ორ-ორი ადგილი, არა ნაკლებ 1 ად. და არა უმეტეს 5 ად. მაზრაზე ან ოლქზე.

6) პარტიულ კომიტეტებს ეძლევა წინადადება გამოგზავნონ სალექტორო კურსებზე, ამხანაგები წლოვანებით არა ნაკლებ 20 წლისა, მინიმუმი 2 წლის, პარტიულ ან და კომუნისტურ ახალგაზრდობის სტაჟით, განსაკუთრებით მუშებისა და გლეხებისაგან რომელთაც გამოიჩინეს უნარი თეორეტიულ მეცადინეობის და საგიტაციო საპროპაგანდო მუშაობისა და რომელნიც განირჩევიან თავის ერთგულებით კომ. პარტიის და კომუნისტურ ახალგაზრდობისადმი.

შენიშვნა: გამონაკლის შემთხვევებში განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ამხანაგები იქნებიან მიღებული ნაკლები პარტიული ან და კომ. ახალ. კავშირის სტაჟით.

7) მისაღებ ამხანაგებს მოეთხოვება:

1. საშობლო ენის და რუსულის ცოდნა.
2. საერთო განათლებითი მომზადება არა ნაკლებ პირველ საფეხურის შრომის შკოლის კურსისა.
3. პოლიტიკური: სულ მცირე—ელემენტარული მარქსისტული წრის ან სამაზრო პარტიული სკოლის პროგრამით, მაგალითად, შემდეგი ლიტერატურის მიხედვით:
   1. ბუხარინი—კომუნიზმის ანბანი.
   2. ბოგდანოვი—პოლიტიკურ ეკონომიის დაწყებითი კურსი.
   3. კაუცკი—ერფურტის პროგრამა,
   4. რ. კ. პ. პროგრამა.
   5. რ. კ. პ. მე-2 ყრილობის და 3 კომინტერნის კონგრესის რეზოლიუციები.
   6. პუნოვი—ჩვენი პარტიის ისტორიის ძირითადი მომენტები.

8) ის პირნი, რომელნიც მისაღებ გამოცდებს დაიჭერენ, იქნებიან დაშვებულნი ორი კვირის განმავლობაში გამოსაცდელ მეცადინეობაზე, რომლის გათავების შემდეგ, რომელნიც ვერ შეითვისებენ პროგრამას, დაბრუნებულ იქნებიან თავთავის ორგანიზაციათა განკარგულებაში.

9) სალექტორო კურსზე მეცადინეობა იწარმოებს უმთავრესად სემინარებში სარეფერატო სისტემით. სამოსწავლო დღე—8 ს.—3 ს. ოფიციალური მეცადინეობისათვის სემინარებში. ლექტორების ხელმძღვანელობით და 5 ს.—სტუდენტთა დამოუკიდებელ მუშაობისათვის მორიგ სემინარებისათვის მოსამზადებლად. გარდა ამისა სტუდენტები სალექტორო კურსებზე ყოფნის დროს აწარმოებენ, როგორც პრაქტიკანტები, საპროპაგანდო მუშაობასაც ცენტრალურ პარტიულ სკოლის წრეებში და იაჩეიკებში, პოლიტიკურ წრეებში და იაჩეიკებში და თბილისის ორგანიზაციის სარაიონო სკოლებში.

10. მეცადინეობის დროს არავითარი შვებულება სტუდენტებს არ მიეცემათ, რადგანაც პირველსა და მეორე სემესტრის შორის მიეცემათ ორი თვის სადამზეგებო შვებულება.

11. გამოგზავნილი ამხანაგები დაიშვებიან გამოცდებზე საექიმო შემოწმების შემდეგ. ძლიერ სისხლნაკლულოვანობით, ტუბერკულიოზით, ვენერიული სენით და ისტერიით ავათმყოფნი არ იქნებიან მიღებულნი. ინვალიდობა მიღებას ხელს არ შეუშლის.

12. სალექტორო კურსის სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან ც. პ. სკოლაში საერთო საცხოვრებელ ბინით, სასწავლო სახელმძღვანელოებით, საკურსანტო ულუფით და სასტიპენდიო ფულით.

13. პარტიულ კომიტეტებს ევალებათ წარმოვლინებული ამხანაგები აღჭურვონ ხრმატურული სიით, ფულების ატესტატით, შემოწმებული პარტიულ ანკეტით და სტუდენტის ბარათით, რომ მიღების ყველა პირობები მას გამოცხადებული აქვს.

14. განაწილება არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც იძულებითი მობილიზაცია. გამოგზავნილი უნდა იქნენ უსათუოდ ღირსეული ამხანაგები, რომელთაც აქვთ სერიოზული სურვილი სწავლისა და მომზადებისა შინა პარტიულ საპასუხისმგებლო საპროპაგანდო მუშაობისათვის. ც. კ. აკისრებს პარტიულ კომიტეტების პასუხისმგებელ მდივნებს, პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ სალექტორო კურსის სტუდენტთა კანდიდატების გულდასმით შერჩევას.

ც. კ. მდივანი, სააგიტაციო-საპროპ.
გამგე **მ. კახიანი.**

ცენტრალური პარტიული სკოლის
გამგე **ხ. წოვიკოვი.**

ფაშიზმის დაშლის დასაწყისი

ფაშისტებმა იტალიაში მიაღწიეს ლა-უფლებას არა მარტო შეიარაღებული აჯანყების გზით. მათი გარჯვების ერთ მთავარ იარაღს წარმოადგენდა უსაზღვრო დემაგოგია, ინი, როცა და სადაც საჭიროდ აჩნდათ, ფართე დაპირებებს აძლევენ თავისი მდგომარეობით უკმაყოფილო ელემენტებს. მუშებს პირდებოდნენ ცხოვრების პირობების უმჯობესებას, გლეხებს მიწების დაცემას და სხ.

ფაშისტების დემაგოგიაზე წამოე მუშათა კლასის და გლეხობის ჩორჩენილი ნაწილები, რომელთაც რგი გაუმაგრეს თავზე ხელ აღე ლ ფაშისტების ხულიგანურ და ნდიტურ ორგანიზაციებს.

სხვათა შორის, ამით აიხსნება ის რემოება, რომ ფაშისტებმა შედა ბით ასე იოლად მოახდინეს სახელმწიფოებრივი გადატრიალება. იტალიის დემოკრატიულ მასსას საერთოდ საკმაო წინააღმდეგობა არ უწევია ფაშისტებისათვის. ამ მასსის საგრძნობი ნაწილი თუ დამხმარე არა, პასიური აღმოჩნდა მომხ ამბებისადმი.

იყო მაჩვენებელი ერთის მხრით ლიის მშრომელ მასსის კლასობ შეგნების დაბნელების, რასაც უწყობდნენ სოციალისტ-რეფორმისტები, რომელნიც ბურჟუაზიასთან შერიგების აზრს ჩასჩიჩინებდნენ ლიის პროლეტარიატს, მეორე ით,—ამ პროლეტარიატის დაღლილობის, მისი ნებისყოფის დროებითი მოდუნების, რომელიც გამოწვეული იყო მისი მთელი რიგი წინანდელი დამარცხებებით. მხოლოდ მცირე ნაწილმა იტალიის პროლეტარიატის, მისმა მოწინავე რევოლიუციონერმა რაზმმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა კომუნისტური პარტია, დაღვარა სისხლი ფაშისტებთან ბრძოლაში.

ს შემდეგ კი, რაც ფაშისტებმა იგდეს მთელი ძალა უფლება სინი შეუდგნენ სახელმწიფოებრივ ცხოვრების მმართვას, უეჭველად უნდა დამდგარიყო გამოფხიზლების პერიოდი იმ მუშათა და დემოკრატიულ ელემენტებისათვის, რომელნიც თავიანთი შეუგნებლობით აღმოჩნდნენ მოსისხლე მტრის ბანაკში, ამასთან უნდა გაძლიერებულიყო რევოლიუციონურ ძალების დარაზმვა და თავმოყრა ჩვენი პარტიის გარშემო ფაშისტურ დიქტატურისაგან თავდასაცავად და მისი დამხობის მოსამზადებლად. და ეს იმიტომ, რომ ფაშისტების დემაგოგიის ნიადაგი გამოეცლებოდა, ისინი არამც თუ არ განახორციელებდნენ რაიმე რეფორმებს მუშათა კლასის და საერთოდ დემოკრატიის სასარგებლოდ, არამედ უფრო მოუჭერდნენ მათ მუხრუჭს, წაართმევდნენ იმასაც, რაც ჰქონდათ მოპოვებული ხანგრძლივი ბრძოლით, და სრულ გასაქანს მისცემდნენ მსხვილი კაპიტალის და მემამულეთა მადას.

და მართლაც, ეს პროცესი დაიწყო იმ თავითვე, მუსოლინის გამარჯვების მომენტიდანვე, და იგი დღითი-დღე სულ უფრო ფართე ხასიათს ღებულობს.

მუსოლინის მთავრობამ გააფართოებული ბრძოლა გამოუცხადა მუშათა კლას, გააუქმა 8 საათის სამუშაო დღე, მუშებს მოუსპო გაფიცვების უფლება, დაარბია მუშათა რევოლიუციონური ორგანიზაციები და სხ.

არც გლეხობამ შეიძინა რამე. მან არამც თუ მიწები ვერ მიიღო, არამედ ამ მიმართულებით მისი ყოველგვარი ცდა აღკვეთილია ძირშივე.

ჩვენ არას ვამბობთ იმაზე, რომ რევოლიუციონური პროლეტარიატი, რომელსაც კარგად ჰქონდა გარკვეული ფაშისტების ნამდვილი ვინაობა და მომხდარ გადატრიალების აზრი,—განაგრძობს თავის რიგების მობილიზაციას და ბრძოლას ფაშისტების წინააღმდეგ. ამ ბრძოლის ეპიზოდებით აღბეჭდილია იტალიის უკანასკნელი, მიმდინარე თვის ცხოვრებაც. მაგ., რადიო გადმოგვცემდა, რომ ქალ. მილანში საქალაქო არჩევნების წინა დღეებში დაპატიმრებულ იქნა კომპარტიის საარჩევნო კომიტეტი; საარჩევნო კომპანიის დროს დააპატიმრეს აგრეთვე 700 მუშა. ტურინში მოხდა შეტაკება კომუნისტებსა და ფაშისტებს შორის; მეორე დღეს ფაშისტებმა მოახდინეს მობილიზაცია რეპრესიების მოსახდენად; მოხდა ახალი შეტაკებები, რომლის დროს მოკლულ იქნა 4 კომუნისტი. რამოდენიმე დღის შემდეგ იმავე ქალაქში ისევ მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკებები ფაშისტებსა და კომუნისტებს შორის, რომლის დროს მოკლულია 16 კაცი და დაჭრილი 50-ზე მეტი; ფაშისტებმა ალყა შემოარტყეს შრომის ბირჟას, დააპატიმრეს იქ მყოფი 5 კომუნისტი, ცეცხლი წაუკიდეს ბირჟის შენობას, გაანადგურეს და დასწვეს რედაქცია „ორდინე ნუოვო“, აგრეთვე ორი კომუნისტური კლუბი.

ეს, სულ ბოლო დროის ცალკე ფაქტები მოწმობენ, რომ ფაშისტებმა ვერ შესძლეს ჩვენი პარტიის და რევოლიუციონური პროლეტარიატის გატეხა, მისი მოსპობა, ეს მოწმობს, რომ იტალიის საზოგადოებრივ ცხოვრების სიღრმეში დიდი დუღილია, რომელიც ჯერ ჯერობით ცალკე ინციდენტების სახით იჭრება ზედაპირზე და რომელმაც შემდეგში ულკანისებურად უნდა გადმოხეთქოს და წალეკოს ძველი, დამყაყებული წყობილება.

უფრო სიმპტომატიურია ის ცნობები, რომელიც ეხება უთანხმოებას თვით ფაშისტების პარტიაში, თუ პარტიის სახელით მოინათლება ყაჩაღთა ორგანიზაცია, როგორსაც წარმოადგენენ ფაშისტები. ეს განხეთქილება ფრიად გამწვავებულია და იწვევს შეტაკებებს ფაშისტების ცალკე ჯგუფებს შორის მილანში მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკება ფაშისტებისა ანუნციოს ლეგიონერებთან, დაჭრილია 32 კაცი. ფლორენციაში რესპუბლიკანელებთან ფაშისტების შეტაკების დროს დაიჭრა 30 კაცი.

ასეთია ფაქტები. ფაშისტების ორგანიზაცია შესდგება სხვა და სხვა სოციალურ ელემენტებისაგან. აქ არიან მსხვილი კაპიტალის ჯგუფები, აქვე არიან მსხვილი მემამულეები, ამ ორგანიზაციაშივე ითვლებიან მოტყუილებული მუშები და ღარიბი და საშუალო გლეხობის წრეებიც, აქ ჩვენ შევხდებით ოფიცრობას, მოხელეებს, მეშჩანურ ინტელიგენციას და სხ. ზოგიერთი ამ ელემენტების ინტერესები ღრმად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს; მათი შერიგება შეუძლებელია. ეს წინააღმდეგობანი, რომელნიც ბევრისათვის დაფარული იყვნენ მაშინ, როცა ფაშისტებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ძალა-უფლება ხელში ჩაგდებული, ამოტივტივდნენ და სერიოზული ხასიათი მიიღეს მას შემდეგ, როცა ფაშისტები მოექცნენ სახელმწიფოს სათავეში და როცა თითქო უნდა დამდგარიყო დრო ფაშისტურ ორგანიზაციაში შემავალ ელემენტების კლასიურ მოთხოვნილებათა განაღდებისათვის.

დაიმსხვრა ზოგიერთების ილიუზიები, ეს უმთავრესად ითქმის მუშათა და წვრილ და საშუალო გლეხობის იმ ნაწილზე, რომელნიც გაუგებრობით მოხვდნენ ფაშისტების ბანაკში. ისინი ერკვევიან მდგომარეობაში და რწმუნდებიან, რომ თავიანთი ცხოვრების გაუმჯობესება შეუძლიათ არა ფაშისტებთან ხელი ხელ ჩაკიდებული სიარულით, არამედ მათ წინააღმდეგ ბრძოლის გზით.

აშკარად ხდება ნამდვილ ფაშისტურ ელემენტების გარიყვა მუშათა და დემოკრატიულ ელემენტებისაგან.

ფაშისტები, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ ზომებს მიმართავენ, რათა შეინარჩუნონ ძალა-უფლება. მუსოლინის წინადადებით, ეწყობა წმინდა ფაშისტური მილიცია. გაძლიერებულია რეპრესიები რევოლიუციონურ ორგანიზაციების წინააღმდეგ.

ამასთან ერთად საყურადღებოა ერთი ცნობა: ფაშისტური მთავრობა ცდილობს იტალიის ყველა პროფკავშირების გაერთიანებას ერთ საერთო კავშირში, რომელსაც, რა თქმა უნდა, ფაშისტების აზრით უნდა გაუწიონ ხელმძღვანელობა ამ უკანასკნელებმა. ამ მიზნით მუსოლინის ჰქონდა თათბირი სოციალ-დემოკრატ დეპუტატებთან, რომელთაც თავის მხრივ გამართეს მოლაპარაკება ფაშისტების პროფკავშირების მდივანთან. ამგვარად, მუსოლინი ფიქრობს „სოციალისტების“ დახმარებით ზურგის გამაგრებას მუშათა კლასში.

მაგრამ ყველა ნიშნები იმაზე მეტყველებენ, რომ იტალიის მუშათა კლასი, მწარე გაკვეთილების შემდეგ, კლასობრივ გამოფხიზლების გზაზეა შემდგარი და ის მუსოლინის და მოღალატე სოციალისტებს საშუალებას არ მისცემს—გამოყენებულ იქნას ბრმა იარაღად ფაშისტების დიქტატურის განსამტკიცებლად. პირიქით, ის მობილიზაციას უწევს თავის ძალებს და ემზადება მათ წინააღმდეგ გადაჭრილი ბრძოლისათვის. ამ ბრძოლას გაუადვილებს მას დაშლის პროცესი, რომელმაც თავი იჩინა ფაშისტების ორგანიზაციაში და პროცესი მათი იზოლიაციისა დანარჩენ მოსახლეობიდან.

სასკოლო გადასახადი

ახალი ეკონომიური პოლიტიკის გამოცხადების და წარმოება-დაწესებულებათა სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის შედეგი იყო შრომის ნაყოფიერების საერთო ზრდა და ყველა დარგის მუშკათა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება. თითქმის ყოველ დაწესებულებას, ყოველ წარმოებას აღმოაჩნდა შემოსავლის წყარო, რომელიც პროგრესიულად მატულობს შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად და შესაძლებელია გაწეული ხარჯების დაფარვა.

ამ შემთხვევაში გამონაკლისს შეადგენს სახალხო განათლება, ის უწყება, რომელიც თავის მიზნის და მუშაობის შინაარსის მიხედვით შემოსავლის ზრდას ვერ გამოიკიდებს და თავისი ხარჯების ცოტათ თუ ბევრათ მნიშვნელოვან ნაწილს ვერ დაფარავს შემოსავლიდან. ამის გამო სახალხო განათლების უწყება იძულებული იყო მთელი თავისი იმედები სახელმწიფოს საერთო ბიუჯეტზე დაემყარებია, მუდამ ფინანსთა სახალხო კომისარიატის შემყურე ყოფილიყო და მხოლოდ მისი დახმარებით გაეგრძელებია თავისი მუშაობა სახალხო განათლების ფრონტზე.

საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც აწარმოებს ენერგიულ ბრძოლას ხალხის სიბნელესთან და უვიცობასთან, უცოდინარობის სალიკვიდაციოთ და რომელიც სცდილობს მეცნიერება ყველასათვის მისაწდომი გახადოს და არა მარტო „რჩეულთათვის“ არ ერიდება ხარჯებს ამ საქმისთვის შესაძლებლობის ფარგლებში. მაგრამ არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სახელმწიფოს მრავალი სხვა გადაუდებელი და აუცილებელი მოთხოვნილებებიც აქვს, რომელთა დაკმაყოფილება აგრეთვე დიდ საშუალებებს, დიდ რესურსებს მოითხოვს. წინააღმდეგ თავის სურვილებისა ის იძულებულია მომჭირნეობა გამოიჩინოს, ხარჯებს შეამოკლოს თუნდა ამან მის მიერ დასახულ მიზნების განხორციელებას ხელი შეუშალოს, ფრთები შეაკვეცოს. სახალხო განათლების ფართო მასშტაბით წარმოება-განვითარებისათვის დიდი თანხებია საჭირო და არსებულ პირობებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან შეუძლებელია უკლებლივ მათი გაღება.

ყოფილი მთავრობების დროს განათლების საქმისთვის მტკიცე საფუძვლის ჩასაყრელათ, საშკოლო შენობების ასაგებათ, ინვენტარის შესაძენათ და განათლების მუშაკთა უზრუნველყოფისათვის ძალიან ცოტა კეთდებოდა. თუმცა შკოლების რიცხვმა რევოლიუციის შემდეგ იმატა, მაგრამ მათი უმეტესობა უბინობის, ინვენტარის უქონლობის და სხვა მიზეზების გამო მეტათ უკიდურეს მდგომარეობაში იყვნენ, მათი ყოფნა არყოფნას უდრიდა. ყოფილი „დემოკრატიული“ მთავრობის არსებობის უკანასკნელ თვეებში განათლების საქმის საერთო მდგომარეობა პირდაპირ კატასტროფიული იყო, რასაც კიდევაც აღნიშნავდნენ მასწავლებელთა კრებები და იმ დროინდელი ჟურნალ-გაზეთები. გამოსავალი არ ჩანდა, განათლების საქმის გამოკეთების და ფეხზე დაყენების იმედი სრულებით დაკარგული იყო.

განათლების საქმის ასეთი კატასტროფიულ მდგომარეობას მოუსწრო ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ. ევროპისკენ გაქცეულ ყოფილ მთავრობის მიერ ქვეყნის საერთო დანგრევის, დარბევის და გაძარცვის გამო შეუძლებელი იყო პირველ ხანებშივე განათლების საქმის ჯეროვან სიმაღლემდე აყვანა და ყველა მორიგი ამოცანების გადაჭრა. შიმშილობამ, რომელიც გასულ წელს ჩვენ ქვეყანას თავს დაატყდა მთელი თავისი სიმკაცრით, კიდევ უფრო გააძნელა და დააგვიანა საქმის გამოკეთება და გულახდილათ უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიერ ენერგიულ ღონისძიებათა მიღების მიუხედავათ, დღემდე სახალხო განათლების და მის ფრონტზე მომუშავეთა მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი ვერ არის, განსაკუთრებით პროვინციაში საერთოდ და მით უმეტეს დამშეულ მაზრებში.

ამას ბოლო უნდა მოეღოს.

სახალხო განათლების უწყებას უნდა მიეცეს განმანათლებელ მუშაობის ფართო მასშტაბით წარმოების და სახალხო განათლების ფრონტზე მომუშავეთა უზრუნველყოფისთვის საშუალება. ახალი, ნორჩი თაობის, მოსწავლე ახალგაზრდობის, რაციონალური ფიზიკურ-კულტური განვითარებისთვის ხელშემწყობი პირობები უნდა იქნეს შექმნილი. თუმცა ადგილობრივი ხელისუფლების და საზოგადოებრივი ორგანოები უკვე ზრუნავენ ამისათვის, მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა საერთო ხელმძღვანელობის გაწევა ცენტრიდან, კანონმდებლობითი ზომების მიღებით მთელი რესპუბლიკის მასშტაბით.

„კომუნისტის“ კვირის ნომერში უკვე გამოქვეყნდა საქ. სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი სასკოლო გადასახადის შესახებ, რომელსაც ყოველი შეგნებული მოქალაქე სრული თანაგრძნობით და კმაყოფილებით შეხვდება.

დეკრეტის თანახმად ხალხის უღარიბესი ნაწილი სრულიად განთავისუფლებულია გადასახადისაგან, ხოლო გადამხდელები, მათი ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით, დაყოფილი არიან სამ ჯგუფად:

I. პროფესიონალურ კავშირთა ის წევრნი, რომელთა სამუშაო სასყიდელი მე-6 ხარისხის განაკვეთს აღემატება.

II. გლეხნი სოფლად.

III. დანარჩენი მოქალაქენი სოფლად და ქალაქათ.

პირველი და მეორე ჯგუფისთვის დაწესებულია გადასახადი ერთი მანეთი, ხოლო მესამე ჯგუფისათვის 3 მანეთი ოქროს ანგარიშით. როგორც ხედავთ გადასახადის რაოდენობა არ არის დიდი, მისი გაღება გადამხდელთათვის სიძნელეს არ წარმოადგენს; სახალხო განათლების საქმე კი ამ თანხის მიღებით დიდათ მოიგებს და განახორციელებს ყველა მიზნებს, რომელსაც მას უსახავს საბჭოთა ხელისუფლება.

საყოველთაო სასკოლო გადასახადის შემოღება კულტურა-განათლების საქმის გასამაგრებლათ და გასამარჯვებლათ არის შემოღებული და უნდა ვიმედოვნოთ, რომ ის საქმით იქნება გატარებული ცხოვრებაში.

ი. ხ.

საბჭოთა მეათე ყრილობა

მოსკოვი. 25 დეკემბ. 23 დეკემბერს, დიდი თეატრის დარბაზში დიდი ზეიმით გაიხსნა სრულიად რუსეთის საბჭოთა მეათე ყრილობა. ყრილობას დაესწრო 2.000 დელეგატზე მეტი.

ამხ. კალინინის სიტყვა.

სრ. რუსეთის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. კალინინმა გახსნა ყრილობა შემდეგი სიტყვით: „ამას წინად ჩვენ ვიდღესასწაულეთ საბჭოთა ხელისუფლების 5 წლის არსებობა, დღეს ჩვენ ვესწრებით საბჭოთა მეათე ყრილობას. საბჭოთა ყრილობების ისტორია არის რევოლიუციონური რუსეთის ისტორია. პირველი ყრილობები მეხუთემდე ერთმანერთს მისდევდენ. მაგრამ ეს ყრილობები ერთმანერთს არ გავდენ, თვითეული ყრილობა გამოხატავდა განსაკუთრებულ მომენტს. ამ ხნის განმავლობაში მენშევიკებმა და მემარჯვენე ესერებმა დაამთავრეს გედის სიმღერა.

მეხუთე ყრილობაზე ესერები საბოლოვოთ გაგვეთიშენ და შეუერთდენ კონტრრევოლიუციას. ამ მომენტიდან მუშების და გლეხების სათავეში მოექცა მხოლოდ ერთად ერთი კომუნისტური პარტია. მეექვსე და მეშვიდე ყრილობებმა მთელი თავისი მუშაობა მოანდომეს სამხედრო საქმეს, ფრონტის ცხოვრებას და ინტერესებს იმ ყრილობებს, რომელნიც უდიდეს საშიშროების მომენტებში იკრიბებოდნენ, ესწრებოდნენ ფრონტიდან გამოგზავნილი დელეგატები, რომელნიც მატებდენ ჩვენს რიგებს ემტუზიაზმს, და რევოლიუციონურ ენერგიას, აქ ხდებოდა ამ ენერგიის კონცენტრაცია და წითელი არმიის წინამძღოლი,—საბჭოთა ყრილობა ახმარდა ამ ენერგიას ფრონტის ყველაზე საშიშ ადგილებს. მერვე და მეცხრე ყრილობები შეუდგნენ უფრო მშვიდობიან მუშაობას. საბჭოთა რესპუბლიკა სამშვიდობოზე გავიდა.

მეათე ყრილობამ უნდა განიხილოს მთელი რიგი ახალ ამოცანებისა, რომელთა შორის არის კარდინალური საკითხი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის მოწყობა. ასეთი კავშირის მომენტი სავსებით მომწიფდა.

ამ დარბაზში პირველად არიან შორეულ აღმოსავლეთის, ქ. ვლადივოსტოკის წარმომადგენლები. ჯერ კიდევ არ გამქრალა ოკუპანტების კვალი ვლადივოსტოკის ქუჩებზე, და მისი წარმომადგენლები უკვე გამოცხადდენ საბჭოთა მეათე ყრილობაზე. ამ დარბაზში არიან აგრეთვე უკრაინის, ბელორუსიის და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების 400-ზე მეტი დელეგაციები, რომელნიც ჩამოვიდნენ საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანებულ ყრილობაზე. ვინც ფიქრობს, რომ საბჭოთა ხელისუფლება სუსტია, ძალიან სცდება. აქ ამ დელეგატების დასწრება მაჩვენებელია იმისა, რომ ყველა საბჭოთა რესპუბლიკების მუშები და გლეხები მკიდრო და მძლავრი ძაფებით დაუკავშირდენ ერთმანეთს“.

ყრილობის თავმჯდომარის არჩევა.

ყრილობის თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. კალინინი.

ყრილობის პრეზიდიუმი.

დამტკიცებულ იქნა კომუნისტურ ფრაქციის და უპარტიო დელეგატების მიერ დასახელებული პრეზიდიუმი 37 კაცის შემადგენლობით.

მისალმებანი.

შორეულ აღმოსავლეთის სახელით მისასალმებელ სიტყვას ამბობს იანსონი. „ბრძოლის გამოცდილებამ დაანახვა მუშებს და გლეხებს, რომ ისინი ვერ განთავისუფლდებიან მტრების თავდასხმისაგან მანამ, სანამ არ დაუკავშირდებიან საბჭოთა რუსეთს. ეხლა ბურჟუაზიული მთავრობა ჩვენში დამხობილია და იგი შესცვალა საბჭოთა ხელისუფლებამ. შორეულ აღმოსავლეთის მუშები და გლეხები მზად არიან მთელი საბჭოთა რუსეთის მუშებთან და გლეხებთან ხელიხელ ჩაკიდებული განაგრძონ ბრძოლა და მიაღწიონ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას და გაძლიერებას.

ამხ. კამენევის მოხსენება.

შინაურ და საგარეო პოლიტიკის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. კამენევი: „მიმდინარე წელს ჩვენ მოვექცით რევოლიუციის ახალ შემოქმედების ხანაში. მხოლოდ ვლადივოსტოკის დაკავების შემდეგ ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, ჩვენ გვაქვს **აღმშენებლობითი მუშაობის პირველი პირობა. აღარ ისმის თეთრგვარდიელების ტყვიისმფრქვეველთა და უცხოელების ზარბაზნების გრიალი. საბჭოთა რუსეთის ტერიტორიიდან განდევნილია უკანასკნელი ოკუპანტი. ვლადივოსტოკიდან ბაქომდე, პეტროგრადის ხანაპირთებიდან ბათომამდე, არხანგელსკიდან ოდესამდე მშრომელი მასები გაერთიანებული არიან საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშის ქვეშ.**

ეს ორგანიული მთლიანობა მოითხოვს საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ კავშირში ჩამოყალიბებას. ეს კავშირი არის პირველი პირობა ჩვენი მომავალი სამეურნეო მოღვაწეობისა. მეორე პირობაა—ჩვენი მდგომარეობის განმტკიცება. ჩვენთვის საჭიროა მშვიდობიანობა და მთელი მსოფლიოს სამეურნეო ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება. ჩვენ შევეცადეთ შეგვეყვანა რუსეთი მსოფლიო სამეურნეო ცხოვრებაში გენუის და ჰააგის კონფერენციებზე, მაგრამ ჩვენ იქ მოგვთხოვეს ისეთი ძნელი პირობები, რომ ჩვენ იძულებული ვიყავით უარი გვეთქვა ამაზე. ჩვენ ბევრს უთმობდით მაშინ მსოფლიო კაპიტალისტებს, მაგრამ ჩვენ არ შეგვეძლო გვეღალატა ჩვენი თავისათვის დ ხალხისათვის. **ეხლა ჩვენ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ იმას, რასაც მაშინ ვუთმობდით, ჩვენ მომავალში აღარ დავუთმობთ.**

ახალგაზრდათა კომინტერნის მესამე მსოფლიო კონგრესი

I

მესამე კომინტერნის მეოთხე კონგრესის მუშაობის დამთავრების შემდეგ მოსკოვში გაიხსნა ახალგაზრდათა კომინტერნის მესამე კონგრესი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა მიეცა, მუშათა ახალგაზრდობის ორგანიზაციულათ შეკავშირებისათვის კაპიტალის საერთო შემოტევის პირობებში. შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდა მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობას, დღევანდელ მომენტში მეტი დაფასება აქვს, ის უფრო მეტად პოპულიარული ხდება, საზოგადოების ფართე წრეებში. მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი ახალგაზრდათა მოძრაობას, აკუთვნებს საპატიო როლს, რომელიც უნდა შეასრულოს ახალგაზრდათა კომინტერნმა კაპიტალისტური საზოგადოების წინააღმდეგ წარმოებულ საერთო რევოლიუციონურ ბრძოლაში.

მით უმეტეს დღევანდელ მომენტში, როდესაც კაპიტალი, ყველა ბურჟუაზიულ ქვეყნებში, თავს ესხმის პროლეტარიატს და ბურჟუაზიული სახელმწიფოს კანონმდებლობა, უხეშათ აუქმებს იმ უმნიშვნელო მონაპოვარსაც, რომელიც ხანგრძლივ დროის განმავლობაში, მუშათა კლასის ბრძოლით არის მოპოვებული. ამიტომ ახალგაზრდათა კომინტერნის მესამე კონგრესის წინაშე დასმული იყო სათანადო კითხვები.

ყველა ბურჟუაზიულ ქვეყნებში ახალგაზრდათა კომუნისტური ორგანიზაციები, რომ სერიოზულ რევოლიუციონურ ძალას წარმოადგენენ, რომელსაც ანგარიშს უწევს ბურჟუაზია, მოწმობს ის მუშაობა, რომელიც უწარმოებია მათ, ახალგაზრდობის ორგანიზაციულათ შეკავშირებისა, მათ პოლიტიკურათ აღზრდისათვის ახალგაზრდათა კომინტერნის მეორე კონგრესიდან მესამემდის. მიუხედავათ წარმოუდგენელი დევნისა. რომელსაც ახალგაზრდათა კომუნისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელები განიცდიდნენ ბურჟუაზიულ ქვეყნებში, ახალგაზრდათა კომინტერნი განმტკიცდა პოლიტიკურათ და ორგანიზაციულათ, თუმცა მეორე კონგრესის შემდეგ წევრთა რიცხვი არ გაზრდილა, რაც უნდა მიეწეროს იმ გარემოებას, რომ მთელ რიგ ბურჟუაზიულ ქვეყნებში, ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირები, კანონ გარეშე იყვნენ გამოცხადებულნი და განიცდიდნენ მასიურ დარბევას, რაც აიძულებდა კავშირებს გადასულიყვნენ არა ლეგალურ მუშაობაზე. თუ მხედველობაში [არ მივიღებთ იტალიას და უნგრეთს, სადაც აღვირ-ახსნილი რეაქცია მეფობს, ზღვის განაპირა სახელმწიფოთა ბურჟუაზიას შეუდარებელი ნიჭი გამოუჩენია, თავიანთ ქვეყნებში არსებულ ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირთა წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც ამ უკანასკნელთ უხშობდა შესაძლებლობას ფართე მასშტაბით ეწარმოებიათ რევოლიუციონური მუშაობა.

ჩეხო-სლოვაკიის ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირში ითვლება 28,000 წევრი, მაგრამ, მიუხედავათ ორგანიზაციის მასიური ხასიათისა, მაინც შესძლეს მუშაობის არალეგალურათ წარმოება. პოლონეთში, ფილიანდიაში, ლატვიაში, ესტონიაში, რუმინიაში ახალგაზრდათა კომუნისტური ორგანიზაციები მუშაობას აწარმოებენ არალეგალურათ. გერმანიის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი, რომელიც აერთიანებს 30,000 წევრს, აწარმოებს ენერგიულ მუშაობას ახალგაზრდა მუშათა მთლიან ფრონტის შექმნისათვის, ახალგაზრდათა მეორე და ორ ნახევარ ინტერნაციონალის ბელადების წინააღმდეგ.

თუ ავიღებთ ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირებს საფრანგეთისას, ინგლისის, ავსტრიის, ამერიკის, ისპანიის და ბელგიის, მეორე კონგრესის შემდეგ, მათი პოპულიარობა ახალგაზრდა მუშათა ფართე წრეებში საგრძნობლათ გაზრდილა. დიდი მუშაობა ჩაუტარებია, საფრანგეთის ახალგაზ. კომკავშირის ჰავრის გაფიცვების დროს.

ახალგაზრდათა კომინტერნის თითქმის ყველა სექციები, მეორე კონგრესის შემდეგ მეტი სიცხოველით ღებულობენ მონაწილეობას საერთო პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ამ რიგათ, ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირების ორგანიზაციულ და პოლიტიკურ მდგომარეობა და საერთოდ მეორე კონგრესიდან მესამემდის წარმოებული მუშაობა, იძლევა მდიდარ პერსპექტივებს ახალგაზრდათა კომუნისტურ მოძრაობის კიდევ უფრო განვითარებისათვის. მესამე კონგრესი წარმოადგენს ახალგაზრდათა კომინტერნის ისტორიაში შესამჩნევ ეტაპს.

ვერსალის საზავო ხელშეკრულება უძლური გამოდგა აღედგინა იმპერიალისტური ომის მიერ დარღვეულ ეკონომიური წონასწორობა. „გამარჯვებული“ კაპიტალისტური სახელმწიფოები უმოწყალოდ ფლქვნიან ომში დამარცხებულ ქვეყნებს, თავიანთი დანგრეული მეურნეობის აღდგენის მიზნით.

ბურჟუაზია ემზადება იარაღით გადაჭრას ის კითხვები, რომელთა მოწესრიგებაში, უძლური აღმოჩნდა, ვერსალის „ზავი“. კაცობრიობა კვლავ უსაშინელეს იმპერიალისტურ ომების მოლოდინშია.

მუშათა კლასის გაძლიერებული ექსპლოატაციით ბურჟუაზია ცდილობს აღადგინოს მეურნეობის წონასწორობა. ის ძირშივე აღშობს მუშათა კლასის წინააღმდეგობას.

საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია და მაშასადამე ახალგაზრდათა მეორე და 2 ნახევარი ინტერნაციონალები, არავითარ წინააღმდეგობას არ უწევენ ბურჟუაზიას. პირველნი, პროფკავ. ბიუროკრატების საშუალებით, ეხმარებიან მას მაშინ როდესაც ის აუქმებს 8 საათის სამუშაო დროს საერთაშორისო მენშევიზმის თეორია, სამუშაო დროის გადიდებას ისტორიულ აუცილებლობათ სთვლის, კაპიტალისტური მეურნეობის ჩქარი გაჯანსაღებისათვის.

უკიდურესი პოლიტიკური რეაქცია მთელ რიგ ბურჟუაზიულ ქვეყნებში, მოწოდებულია რათა უზრუნველყოს კაპიტალის მუშათა კლასზე შეტევა.

ახალგაზრდათა მეორე და ორნახევარი ინტერნაციონალები, მეორე ინტერნაციონალს მიყვება, რათა ახალგაზრდა მუშებიც, კაპიტალის ყურმოჭრილი მონა გახადონ.

ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალი, მესამე კონგრესის დირექტივების მიხედვით აწარმოებს მუშაობას, ახალგაზრდა მუშათა ეკონომიურ ინტერესების დაცვისათვის, რომელიც კიდევ უფრო აუტანელ მდგომარეობაში ვარდება კაპიტალის შემოტევის გამო, ვინემ უფროსი მუშები.

როდესაც ბურჟუზიას განზრახული აქვს მორიგი თავდასხმის მოხდენა მუშათა კლასზე, ჯერ ახალგაზრდა მუშებს სწვდება.

აქედან სინჯავს, თუ რამდენათ მომზადებულია ნიადაგი შეტევის დაწყებისათვის. შრომის ხელფასის შემოკლება და სამუშაო დროის გადიდება პირველ რიგში ახალგაზრდა მუშათა ხვედრია. ამნაირათ ბურჟუაზიული სახელმწიფოების მილიტარიზმის ზრდამ, მუშათა ახალგაზრდობას ეკონომიურ ექსპლოატაციის გაძლიერებამ და საერთო პოლიტიკურმა რეაქციამ, ახალგაზრდათა კომუნისტურ მოძრაობის წინაშე დააყენა კითხვა ანტიმილიტარიზმის, მუშათა ეკონომიური პირობების დაცვისა და რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

მესამე კონგრესმა, ყველა ამ კითხვებზე, სათანადო დირექტივები შეიმუშავა. მან, განიხილა რა მუშათა ახალგაზრდობის ეკონომიური მოთხოვნილებათა პროგრამა, აუცილებლად სცნო, ახალგაზრდათა სოციალისტურ ორგანიზაციების პირველ საერთაშორისო გაერთიანების, (1907 წ. შტუტგარდის კონგრესის) „მუშათა ახალგაზრდობის ეკონომიურ დაცვის მოთხოვნილებათა“ შეცვლა, იქ სათანადოთ შესწორების შეტანით, ახალგაზრდათა ინტერნაციონალის შტუტგარდის პროგრამა საფუძვლად დაედო ახალ პროგრამას, მაგრამ მისი რადიკალური შეცვლა აუცილებელი იყო. რადგან მასში მრავალ კითხვებზე, სულ არაფერი არ იყო ნათქვამი, რაც აიხსნება იმ დროინდელ ეკონომიური პირობებით. მაგალითად სამუშაო ხელფასის საკითხი მკრთალად იყო გაშუქებული. აგრეთვე მოთხოვნილება პროფესიონალურ განათლების შესახებ არ სცილდებოდა ნაწილობრივ მოთხოვნილების ფარგლებს. აუცილებელი იყო შეცვლა მუშათა ახალგაზრდობის წლოვანების მიხედვით დაყოფა სამუშაო დროის განსაზღვრისათვის.

შტუტგარდის კონგრესის ეკონომიურ მოთხოვნილებათა პროგრამაში არაფერი არის ნათქვამი მუშათა ახალგაზრდობის შვებულების შესახებ.

საერთოდ, შტუტგარდის კონგრესის ეკონომიურ მოთხოვნილებათა პროგრამა არ სცილდებოდა მინიმალურ მოთხოვნილებათა ჩარჩოებს. მათი განხორციელება ნაგულისხმევი იყო, ნაწილობრივ რეფორმების გატარებით, რაც ნაკარნახევი იყო იმ დროინდელ ობიექტიურ პირობებით. მუშათა ახალგაზრდობის თანამედროვე ეკონომიური მდგომარეობა ითხოვს შეტანილ იქნას პროგრამაში, პრინციპიალურ სახის მოთხოვნილებანი, რომელთა განხორციელება შესაძლებელი იქნება მხოლოდ აშკარა რევოლიუციონური ბრძოლით.

ახალი პროგრამის დედა-აზრს შეიცავს წარმოების კაპიტალისტური წ სის გარდაქმნა, სოციალისტურ წა მოების წესზე, მაგრამ მასში თ თე ადგილი აქვს დათმობილი ლობრივ მოთხოვნილებებსაც. გან, თანამედროვე ხანაში, რო ბურჟუაზიული წესწყობილები რთო კრიზისით ხასიათდება, კლასის ცდა ნაწილობრივ მ ნილებათა განხორციელები იწვევს ფართე მასიურ მოძ რომელიც ხელსაყრელ მომენტ იძლება შეიარაღებულ აჯან გადავიდეს ბურჟუაზიის წინაა ამიტომ მესამე კონგრესმა, ლისტურ ქვეყნების კომუნისტუ შირებს მისცა სახელმძღვანე ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძ თვის, პროგრამა ეკონომიურ მ ვნილებათა მთელი კომპლექსი შათა ახალგაზრდობის ბრძოლ სი განხორციელებისათვის, დროს იქნება პროგრამის საფუძვლის განხორციელებ ბრძოლაც ე. ი. წარმოების ლისტური წესის მოსპობა.

აქ აღვნიშნავთ, მხოლოთ ერთ მუხლებს პროგრამის იმ ლისას, რომელიც შეიცავს ეკ ურ მოთხოვნილებათა წყებას.

ასეთი მოთხოვნილებანია: თის სამუშაო დროის ანაზღაუ შრომის ხელფასით, 8 საათის შაო დროის მიხედვით. იმ ახალგ და მუშების ხელფასი რომლებ ხნოვანებით არ აღემატებიან წელს უნდა უთანასწორდებოდე საცხოვრებელ მინიმუმს. ახალგაზრდა მუშების პროფესიონალური აღზრდა. საქარხნო-საფაბრიკო შკოლის მოწაფეთა ჩარიცხვა ყოველდღიურ დაქირავებულ მომუშავეებათ და მათი უზრუნველყოფა შრომის ხელფასით. მოწაფეთა შრომის ხელფასის გადიდება მათი კვალიფიციური შრომის ნაყოფიერების ზრდის მიხედვით. ღამით მუშაობის აკრძალვა იმ ახალგაზრდა მუშებისათვის, რომელთა ხნოვანება არ აღემატება 18 წელს. ყველა ახალგაზრდა მუშათა შრომის ხელფასის გათანასწორება, უფროსი მუშების შრომის ხელფასთან როდესაც პირველთა შრომის ნაყოფიერება ეთანასწორება მეორისას.

თვის შვებულება თითოეულ წელში, შრომის ხელფასის შენახვით.

პროგრამის ამ ნაწილის ასე შემუშავება ნაკარნახევი იყო მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ამრიგათ, მესამე კონგრესის შემდეგ, ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალს გარკვეული გზა აქვს, რომლითაც ის წაიყვანს მუშათა ახალგაზრდობის ფართო მასებს ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველათ და ხელს შეუწყობს მუშათა მთლიან ფრონტის შექმნას.

ხ. ახ. კომკავშირის დელეგატი მეორე კონგრესზე კოტე გორდელაძე.

კონფერენციის შემდეგ ჩვენ დავრწმუნდით, რომ რუსეთი დღითი დღე ძლიერდება და კაპიტალისტური მსოფლიო კი თანდათან იხრწნება. მთელი ბურჟუაზიული ევროპა ენდა დარწმუნდა, რომ მას უჩვენოთ არაფრის გაკეთება არ შეუძლია. ეს დასტურდება იმით, რომ ჩვენ მოგვიწვიეს ლოზანის კონფერენციაზე. ჩვენი დელეგაცია ლოზანაში იცავს ოსმალეთის ხალხის დამოუკიდებლობას, ის არ შეურიგდება სრუტეებში სამხედრო გემების თავისუფალ მიმოსვლას. თუ ოსმალეთი ამ საკითხში სისუსტეს გამოიჩენს, ჩვენ მაინც არავითარ შემთხვევაში დათმობაზე არ წავალთ. შავი ზღვა და მისი სანაპიროები უნდა იქმნას დაცული ომიანობისაგან. ომი მსოფლიოს ყველა კუთხეებში [illegible]. ყოველი კონფერენცია [illegible] ომს. ვერავითარი კონგრესი ვერ გადაწყვეტენ ტრაგიკულ პრობლემებს და თავიდან ვერ აიცილებენ ომებს. ჩვენ ვეძლევით სხვა უფრო [illegible] საშუალებებს—ეს არის ფაქტიური განიარაღება. ამ მიზნით ჩვენ მოვიწვიეთ მოსკოვში კონფერენცია. კონფერენციის უშედეგოთ დამთავრებამ დაამტკიცა, რომ ბურჟუაზიული მსოფლიოს არ შეუძლია იარაღის დაყრა. მიუხედავათ ამისა ჩვენ უკვე შევუდექით ფაქტიურ განიარაღებას. წითელი არმია შემცირებულია. როდესაც ვამცირებთ არმიას, ჩვენ [illegible] მისი ბრძოლის უნარიანობა. დე, ყველამ ის, ვინც რუსეთის წინააღმდეგ ილაშქრებს, გრძნობდეს, რომ საბჭოთა რესპუბლიკას დაიცავს გაწვრთნილი არმია, რომელიც მხოლოდ გამარჯვებას იცნობს. ჩვენ არავის ვემუქრებით, მაგრამ ვაცხადებთ, რომ ჩვენც არავის დაგვემუქროს. უცხოეთის კაპიტალს სურს რუსეთი თავის კოლონიათ გადააქციოს და ხელში ჩაიგდოს მისი ბუნებრივი სიმდიდრეები, მაგრამ ჩვენ უზრუნველყოფილი ვართ ამ საფრთხისაგან საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის საშუალებით. აქ ჩვენ არავითარ უკან დახევას არ მოველით: ამ მდგომარეობას ჩვენ არავის დავუთმობთ. საგარეო ვაჭრობის მონოპოლია ხელს არ უშლის უცხოეთის კაპიტალს იმუშაოს ჩვენთან ერთად. **ჩვენ მივიღეთ უცხოეთის კაპიტალისტების 500 დე წინადადება, აქედან დამტკიცებულია მხოლოდ 25.**

ჩვენ შინაურ საშინაო ფრონტზე ახალი ფაქტორი გაიჩინდა—ეს არის ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც მიზნად [illegible] არის ლიბერალური საბჭოთა ხელისუფლების მი[illegible] ფაქტიურად გავარკვიეთ, ვინ [illegible] ჯვევს—სახელმწიფო ფედერაცია თუ [illegible] საკუთრების [illegible] დატოვებულია მიწა, [illegible]ი, საგარეო ვაჭრობა, რკინის [illegible] და მრეწველობის სხვა უმთავრესი [illegible]ები დარგები. ჩვენ გვყავს 430 [illegible] რომელიც აერთიანებს 4.00[illegible] სახელმწიფოებრივ წარ[illegible] ჩაბმული მუშების რიცხვი [illegible] უდრის. კერძო კაპი[illegible]ლში კი მხოლოდ 4000 [illegible]ებული წარმოება, 70,000 [illegible] ვიწ მხარეზეც არის [illegible]

[illegible]რტი 1922 წელში 6-[illegible] 1921 წელთან შედა[illegible] შეადგენს იმპორტის 28 [illegible]ინ, როდესაც შარშან [illegible] 5 პროცენტს უდრიდა. [illegible] ტრანსპორტის გადა[illegible]მის წინა ნორმასთან [illegible] მესამედით გაი[illegible] მასალით გზები სავ[illegible] უზრუნველყოფილია. ჩვენი მრე[illegible]ეობა თან და თან [illegible] ქსოვილების დამამზადებელ მრეწველობის პროდუქცია გაიზარდა 200 პროც. ით, ბამბის ქსოვილების კი 160 პროც. ით.

ჩვენი ფინანსიური მდგომარეობა თან და თან მტკიცდება. საქონლის ტრიალი იზრდება. ფინანსიურ დარგში ჩვენი უახლოესი ამოცანაა მანეთის სტაბილიზაცია ემისიის და ხარჯების შემცირების გზით. იანვარში ემისია შედგენდა 90 პროც.-ს, ოქტომბერში მხოლოდ 53 პროც.-ს.

გაუკეთებთ რა ჯამს ჩვენს მუშაობას, ჩვენ უნდა ვსთქვათ: რუსეთი უფრო გამდიდრდა და მოღონიერდა. ეხლა ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ კომუნისტებმა შესძლეს არა მარტო ბურჟუაზიული წესწყობილების განადგურება, არამედ ისინი შესძლებენ აგრეთვე პროლეტარული მრეწველობის საშუალებით გლეხების ხელმძღვანელობას, სასოფლო მეურნეობის აღორძინებას და ქალაქისა და სოფლის კავშირის განმტკიცებას. თუ ჩვენ მომავალშიაც ამ გზით ვივლით—ჩვენ დავუმტკიცებთ მთელს ქვეყანას, რომ სოციალისტური წესწყობილება ოცნება და ფანტაზია კი არ არის, არამედ ისეთი წესწყობილება, რომლის რეალურათ განხორციელება შესაძლებელია“.

ყრილობის რეზოლიუცია. ყრილობა ადგენს არ გამართოს კამათი კამენევის მოხსენების შესახებ და ერთხმად იღებს შემდეგ რეზოლიუციას: **საბჭოთა მეათე ყრილობამ მოისმინა რა სრულიად რუსეთის ცაკის და სახ. კომისართა საბჭოს ანგარიში საშინაო და საგარეო პოლიტიკაში მათი მოღვაწეობის შესახებ, იგი სრულ ნდობას უცხადებს მთავრობას.**

ამხ. ბოგდანოვის მოხსენება.

24 დეკემბერს დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ბოგდანოვის მოხსენება მრეწველობის მდგომარეობის შესახებ. წარსულ წელს, სთქვა მომხსენებელმა, ჩვენმა მრეწველობამ მძიმე მდგომარეობა განიცადა, ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლისას მთავრობამ ხელი აიღო მრეწველობის მომარაგებაზე და უკანასკნელს იძულებული შეიქნა თითონვე გამოენახა საშუალება. ამ მიზნისთვის აუცილებელი გახდა პროდუქციის ბაზარზე გატანა, ბაზარი კი არსად იყო. გარდა ამისა პირველი რიგი თვის განმავლობაში მრეწველობა მთავრობას უფასოდ აძლევდა პროდუქტებს. ამის შემდეგ მრეწველობა იძულებული იყო გაეყიდნა პროდუქცია მძიმე პირობებში, დაეკარგა რა ნაწილი თავისი სატრიალებელი თანხისა. ამ ჟამად მრეწველობამ თავი დააღწია მძიმე მდგომარეობას. წარმოების ყველა დარგებს ეჩნევა არა ჩვეულებრივი ზრდა, რაიც განსაკუთრებით აშკარად სჩანს მსუბუქ ინდუსტრიაში. უკანასკნელის ნაყოფიერება 1920 წელთან შედარებით გაიზარდა ერთ ნახევრიდან ოთხამდე. დიდ გამარჯვებას მიაღწია აგრეთვე საფეიქრო მრეწველობამ, რომლის ნაყოფიერება გაიზარდა 3 ხან-4 ჯერ და აღწევს ომის წინა ნორმის 50 პროც. ს. ცხოველად სდგას ნედლი მასალის საკითხი. საერთო განადგურების გამო გლეხებმა შეამცირეს ბამბის და სელის თესვა, ცხვარის მოშენება, განსაკუთრებით წვრილ მატყლიანის, რომლის მატყლი ძლიერ ესაჭიროება მრეწველობას. ამის შედეგად ჩვენ მოგვიხდა საზღვარ გარეთ 2 მილიონი ფუთი ბამბის და 300.000 ფუთი მატყლის შესყიდვა.

რეზინის მრეწველობის ნაყოფიერება 1920 წელთან შედარებით 48% პროცენტით გაიზარდა, თამბაქოსი—167 პროცენტით. უკანასკნელის პროდუქცია უდრის ომამდე არსებულ პროდუქციის 80 პროცენტს.

მძიმე ინდუსტრია ძალიან ჩამორჩა მსუბუქ ინდუსტრიას, მაგრამ აქაც ერთგვარი წარმატება ეჩნევა 1920 წელთან შედარებით. თუჯის და სხვა ლითონების ამოღება ერთნახევარჯერ გაიზარდა. ურალის მრეწველობამ თავისი პროგრამა ორჯერ გადაფარა,—2—8 მილ. ფუთამდე. პეტროგრადის მძიმე ინდუსტრიას, განსაკუთრებით მეტალურგიას—გამოცოცხლება ეჩნევა. ცენტრალური რაიონი, დიდი ქარხნებით, სორმოვოში, კოლომნოში და სხვა ადგილებში, რომელმაც მიიღო შეკვეთა 500 ახალი ორთქმავლის დასამზადებლად და 1800 ორთქლმავალის შესაკეთებლად, აგრეთვე იწყებს გამოცოცხლებას. უფრო ცუდათ მიდის საქმე სამხრეთში, სადაც ამ უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში ნაყოფიერება არ მატულობს საშუალებათა უქონლობის გამო. 1922—1923 წ. მეოთხედის ბიუჯეტის მიხედვით სამხრეთის მეტალურგიას ეძლევა საკმაო რესურსები, რაც იძლევა საშუალებას წარმოების სათანადო დონეზე დაყენებისათვის. სათბობ მასალათა ფრონტზე მიღწეულია მნიშვნელოვანი გამარჯვება. 1920 წელთან შედარებით ნახშირი ამოღებულია 120 პროც., ნავთი 121 პროც. ნახშირის ამოღება უდრის ომამდე არსებულ ნორმის 34 პროც., ნავთის—49 პრ. ნავთის მრეწველობა ფართოთ არის დაყენებული სათბობ მასალათა დამზადების გეგმა 100 პროცენტით არის შესრულებული.

სულ ახლო მომავალში ჩვენი სათბობი მასალის ბალანსი დაუახლოვდება ომამდე არსებულ ნორმას შეშა დაიჭერს აქ არა უმეტეს 30 პროცენტისა.

ელექტროფიკაციის სფეროში სწარმოებს დიდი მუშაობა. დამთავრებულია სადგური „კაშირსკაია“, და „წითელი ოქტომბერი“, გახსნილია ორი ახალი ელექტრონის სადგური მოსკოვის რაიონში. გრძელდება მუშაობა ვოლხოვში, ნიჟნი-ნოვგოროდში, ჩელიაბინსკში და სხვა ადგილებში დაწყებულია მუშაობა დონის აუზის ცენტრში „შტერის“ სადგურის მოსაწყობად განზრახულია დნეპრის „პოროგების“ გამოყენება ელექტროფიკაციის მიზნით მახლობელ 4 წლის განმავლობაში ჩვენ ავაშენებ 8-9 მთავარი სადგური.

საგარეო ვაჭრობის დარგში მნიშვნელოვანად გაიზარდა სახელმწიფოებრივ წარმოებათა მონაწილეობა ექსპორტსა და იმპორტში. წითელმა მრეწველობამ საგარეო ბაზარზე მტკიცე მდგომარეობა მოიპოვა. გატანილია საზღვარ გარეთ, 200,000 სტანდარტი ხე-ტყის მასალა, 30 მილ. ოქრ. მანეთად ღირებული. მომავალ წელში უნდა მოველოდეთ ჩვენი ხე-ტყის მასალის ექსპორტის ორჯერ გადიდებას. ასეთივე წარმატებით გააქვთ საზღვარ-გარეთ თავისი საქონელი მრეწველობის ზოგიერთ სხვა დარგებსაც. გატანილ საქონლის ხარისხი ომამდე არსებულს არ ჩამოუვარდება.

დასკვნაში მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ჩვენი მრეწველობა იმყოფება განვითარების გზაზე. სახელმწიფოებრივი მრეწველობა სათანადო დონეზე დაყენებული ჩვენი სამეურნეო ორგანოების მიერ, ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა მნიშვნელოვანად გაუმჯობესდა. თუ ეხლა ჩვენთან მოვა უცხოეთის კაპიტალი ჩვენ მას მოვთხოვთ ჩვენთვის უფრო ხელსაყრელ პირობებს ვიდრე შარშან.

კამათის დასრულების შემდეგ ყრილობა ირჩევს 31 კაცისაგან შემდგარ კომისიას მოხსენების განსახილველად და რეზოლიუციის პროექტის შესამუშავებლად.

ამხ. ლუნაჩარსკის მოხსენება.

24 დეკემბერს სხდომაზე სახალხო განათლების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ლუნაჩარსკი.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ განათლების სახ. კომისარიატი 5 წლის განმავლობაში პირველად აბარებს ანგარიშს საბჭოთა ყრილობას. მოხსენების მთავარი მიზანია გააცნოს ყრილობას სკოლის მძიმე მატერიალური მდგომარეობა, რათა ყრილობამ თავისი გადაწყვეტილებით, დაბოლოს საფუძველი ჩაუყაროს სახალხო განათლების მატერიალურად უზრუნველყოფის საქმეს. განათლების სახ. კომისარიატის ხარჯ აღრიცხვის შემცირების გამო მნიშვნელოვანად შემცირდა სასწავლებელთა რიცხვი. მიმდინარე წლის აპრილში ჩვენ გვქონდა 58.000 სკოლა 5.300.000 მოსწავლით, ოქტომბერში სკოლების რიცხვი შემცირდა 55.000-მდე 485 000 მოსწავლით. ზოგიერთ გუბერნიებში სკოლების რიცხვი შემცირდა 40—50 პროც. ით. სკოლების რაოდენობა ამ ჟამად ნაკლებია ვინემ 1914 წელს. სასკოლო ჰასაკის მოსწავლე ბავშვთა პროცენტი აპრილში შეადგენდა 44 ს ამ ჟამად შემცირდა 48 პროც.-მდე სკოლების რიცხვის შემცირება არის არა შეცდომა, არამედ აუცილებლობა, რომელიც გამოწვეულია საშუალებათა ნაკლებობით. განათლების სახ. კომისარიატი იღებს სულ სახელმწიფო ბიუჯეტის 4,2 პროც. ს. მასწავლებლების მდგომარეობა საშინელია: განათლების მუშაკი თვეში ღებულობს საშუალოდ 2 მან. და 90 კაპიკს ომამდე არსებულ კურსის მიხედვით. ე. ი. საარსებო მინიმუმის 12 პროცენტს. შეუძლებელია ასეთი [illegible] დარჩეს მომავალშიაც. საჭიროა საჩქაროდ დავეხმაროთ სკოლას.

სკოლების აღდგენის საქმეში უდიდესი როლი უნდა ითამაშოს ადგილობრივმა ხელისუფლებამ: მისი მოვალეობაა გაიღოს სკოლების საჭიროებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტის არა ნაკლებ 30 პროც.-სა. 30 გუბერნიაში შემოღებულ ფასიანი სწავლა განათლების სახ. კომისარიატის სანქციის გარეშე. ფასიან სწავლის შემოღება—აუცილებელი ღონისძიებით უკან დახევაა. ამიტომ განათლების სახ. კომისარიატმა სახალხო კომისართა საბჭოში შეიტანა პროექტი დეკრეტისა ფასიანი სწავლის შესახებ. ამ დეკრეტით იზღუდება ახალი ბურჟუაზია და მოსამსახურეები 13 ხარისხზევით მუშების და გლეხების ბავშვები კვლავ უფასოდ ისწავლიან, მაგრამ ამ ზომებით დაიფარება ხარჯების მხოლოდ 5—15 პროც. ჩვენ დავუშვით კერძო სამხატვრო სკოლები, [illegible] და სტენოგრაფიის კურსები, მაგრამ ჩვენ ამაზე წინ აღარ წავალთ—კერძო სკოლა დაუშვებელია.

მიუხედავათ ჩვენი მძიმე მდგომარეობისა, ჩვენ დარწმუნებული ვართ საბოლოო გამარჯვებაში. ჩვენი მასწავლებლობა, მშიერი და [illegible] ენთუზიაზმით ეგებება საბჭოთა ხელისუფლების ყოველ ნაბიჯს.

უმაღლეს სკოლას თანდათან იპყრობს პროლეტარული ახალგაზრდობა. მარტო ერთ მოსკოვში ჩვენ გვყავს 10.000 კომუნისტი—სტუდენტი. ეს ახალგაზრდობა მოწყდა დაზგას და გუთანს, ის ცხოვრობს [illegible], მას არა აქვს სინათლე და სასწავლო წიგნები. მის შესახებ აუცილებლად უნდა ვიზრუნოთ ჩვენ.

პროფესიული განვითარების გზაზე სდგას, იზრდება საბჭოთა ხელისუფლების თანამგრძნობ პროფესორთა რიცხვი.

ჩვენ გვინდა მხოლოდ ერთი—რომ ყრილობამ განათლების ფრონტი უმნიშვნელოვანესად სცნოს. დაეხმარეთ ყველა, ვინც ამ ფრონტზე იბრძვის, სახალხო კომისარიდან დაწყებული სკოლის დარაჯამდე [illegible], რომ მასწავლებელი [illegible] კი არ არის, არამედ გმირია. სკოლაზე უნდა ვიზრუნოთ არა შემდეგ, არამედ [illegible]. თუ სახალხო განათლების [illegible] მივცემთ, ის [illegible] გამოიღებს. კამათის შემდეგ მოხსენება გადაეცა კომისიას.

რადიო-ტელეგრამები

რუსეთი და პოლონეთი

მოსკოვი. 25 დეკემბ. პოლონეთი ახლად დანიშნულმა რწმუნებულმა რომან ნოლიმ გადასცა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარს ლიტვინოვს თავისი რწმუნების სიგელები.

რუსეთის წარმომადგენელი პოლონეთში ობოლენსკი გაემგზავრება ვარშავაში მომავალ კვირაში

ლოზანის კონფერენცია

განაგრძობენ თუ არა ოსმალოები მოლაპარაკებას.

პარიზი. 25 დეკემბერი. სტამბოლიდან იტყობინებიან, რომ გასან ბეი გაემგზავრა ლოზანიდან ანგორაში ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობისათვის მოხსენების გასაკეთებლად ლოზანის კონფერენციაზე წარმოებულ მოლაპარაკების შესახებ და ამ საკითხის გადასაწყვეტად, განაგრძობს თუ არა ოსმალეთის დელეგაცია კონფერენციაზე მონაწილეობის მიღებას.

ქრისტიანების სასაფლაოების დაცვა ოსმალეთში.

ლონდონი. 25 დეკემბერი. უმცირესობათა კომისიის გუშინდელ სხდომაზე ოსმალეთის დელეგატებმა მიიღეს მოკავშირეების წინადადება ოსმალეთში ქრისტიანების სასაფლაოების დაცვის შესახებ.

კაპიტულაციის ქვე-კომისიაში.

მოსკოვი. 25 დეკემ. კაპიტულაციის და ეკონომიურ ფინანსიურ ქვე-კომისიებში ჯერ-ჯერობით ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწიეს.

ეროვნულ უმცირესობათა საკითხი.

მოსკოვი. 25 დეკემ. ლოზანიდან იუწყებიან, რომ სხდომაზე ეროვნულ უმცირესობათა საკითხის შესახებ ოსმალოებმა უარყვეს მოკავშირეთა წინადადება ქრისტიანულ უმცირესობათა სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლების შესახებ. მოკავშირეებმა მოითხოვეს ამ საკითხის ერთა ლიგაში გადატანა, მაგრამ ამ წინადადებაში ოსმალოებმა ოსმალეთის სუვერენიტეტის შელახვა დაინახეს და უარყვეს იგი.

ბოლგარეთის და სომხეთის დელეგაციებმა მოითხოვეს მათი აზრის მოსმენა ეროვნულ უმცირესობათა საკითხის შესახებ. ამის წინააღმდეგ ოსმალოებმა პროტესტი განაცხადეს. პროტესტის [illegible] მოკავშირეებმა განაცხადეს, რომ ბოლგარეთის და სომხეთის წარმომადგენელთა აზრი ამ საკითხში მოსმენილი იქნება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ოსმალოებმა არ მოისურვეს სხდომაზე დარჩენა.

ჩიჩერინის განცხადება.

მოსკოვი, 25 დეკ. „დეილი ნიუზის“-ს ცნობით, ჩიჩერინმა ამ გაზეთის კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა, რომ რუსეთის მიმართ მოკავშირეთა აშკარა მტრულ დამოკიდებულების გამო, არ მოაწერს ხელს საზავო ხელშეკრულებას.

კონფერენციის მუშაობის მიმდინარეობა.

მოსკოვი, 25 დეკ. კონფერენციის მუშაობა ნელი ნაბიჯით მიმდინარეობს. კაპიტულაციის ქვე კომისიის ექვს სხდომაზე არ არის მიღებული არავითარი შეთანხმება. ეს საკითხი გადაეცა მთავარ კომისიას. ეროვნულ უმცირესობათა ქვე კომისიაში ოსმალეთის და საბერძნეთის დელეგატების მიერ ერთმანეთის წინააღმდეგ სასტიკმა გალაშქრებამ თავმჯდომარე აიძულა სხდომა დახურულად გამოეცხადებინა.

ბულგარეთის სურვილი.

ლონდონი, 23 დეკ. ბულგარეთმა გამოსთქვა სურვილი მოსმენილ იქნას მისი აზრი ეროვნულ უმცირესობათა საკითხის შესახებ, ემყარება რა იმას, რომ აღმოსავლეთ ფრაკიაში, რომელიც ოსმალეთს დაუბრუნდა, ცხოვრობს მრავალი ბულგარელი. ოსმალოებმა უპასუხეს მიკიბულ მოკიბულად, ხოლო მოკავშირეებმა განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან მოუსმინონ როგორც ოსმალეთს ისე ბულგარეთს, მიუხედავად იმისა, თუ როგორ უყურებენ ამას ოსმალოები.

კაპიტულაციის საკითხი.

ლონდონი, 25 დეკ. კაპიტულაციის ქვე-კომისიაში იხილავდენ დებულებას ოსმალეთში უცხოელების წარმოებათა მოწყობის შესახებ. ოსმალოები პრინციპიალურად დაეთანხმნენ, რომ უცხოეთის ფირმებზე არ იქნება უფრო მეტი გადასახადები გაწერილი, ვინემ ოსმალეთის ფირმებზე, მხოლოდ იმ პირობით, თუ უცხო სახელმწიფოები ოსმალეთის კომპანიების მიმართ შეიმუშავებენ ისეთივე დებულებას, როგორიც ოსმალეთში იარსებებს უცხოეთის ფირმებისათვის.

სრუტეების კომისიაში.

მოსკოვი, 25 დეკ. სრუტეების კომისიის 20 დეკემბრის სხდომაზე ისმეტ ფაშა მოითხოვდა გალიპოლში ოსმალეთის მინიმალურ გარნიზონის დატოვებას. მან პროტესტი განაცხადა მოკავშირეთა სამხედრო გემების მორიგეობის დაწესების და განიარაღებულ ზონებზე კონტროლის უფლების საერთაშორისო კომისიისათვის მინიჭების წინააღმდეგ.

ისმეტ-ფაშა დაჟინებით მოითხოვდა ოსმალეთისათვის პოლიტიკურ გარანტიებს.

კერზონმა უარყო ოსმალეთის მოთხოვნა გალიპოლში ოსმალეთის გარნიზონის დატოვების შესახებ. კერზონმა აგრეთვე გემების მორიგეობის და პოლიტიკურ გარანტიების საკითხში პასუხის გაცემას გვერდი აუხვია.

ვინაიდან კერზონს არ სურდა არასასიამოვნო კამათის გაგრძელება, მან უეცრად შეწყვიტა სხდომა.

ოსმალეთის დელეგაცია, რომელსაც სხდომის დასასრულს უნდოდა წაეკითხა დეკლარაცია, იძულებული იყო წერილობით გადაეცა იგი კერზონისათვის. წაკითხვის შემდეგ, კერზონმა დეკლარაცია არ გამოაქვეყნა და უკან დაუბრუნა ოსმალეთის დელეგაციას.

სხდომის ბოლო ნაწილი გადაიქცა ნამდვილ კომედიად. არც ერთი საკითხი არ იქნა გადაწყვეტილი. მოკავშირეები ცდილობდნენ მათ შორის გამოაშკარავებული უთანხმოება დაეფარათ ოსმალეთისადმი ქათინაურებით. რუსეთის დელეგაცია კამათში მონაწილეობას არ იღებდა.

— ლოზანიდან ბრიტანიის რადიო ოფიციალურად იუწყება, რომ ოსმალებმა თანხმობა განაცხადეს მოკავშირეთა ყველა წინადადებების მიღებაზე. ჯერ ჯერობით არ არის გადაწყვეტილი სრუტეების კომისიის კონფერენციის და ოსმალეთისათვის შეპირებულ გარანტიების ფორმის საკითხი. კერზონმა განაცხადა, რომ შეუძლებელია დაუშვათ ოსმალეთის გარნიზონის დატოვება გალიპოლში და აღნიშნა გემების სამორიგეოს აუცილებლობა უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლების მისვლა მიმოსვლისათვის.

ახლო აღმოსავლეთში

ანგორაში

მოსკოვი. 25 დეკემბ. ანგორიდან იტყობინებიან, რომ მთავრობამ დაადგინა კონფისკაცია მოხდეს სტამბოლის ყოფილ მინისტრების და უმაღლეს მოხელე პირების ქონების.

გერმანიის ამბები

გერმანიის ემისია.

ლონდონი 25 დეკ. გერმანიის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვის გამო, გერმანიის სახელმწიფო ბანკი იტყობინება, რომ გასულ ფინანსიურ წლის 11 თვის განმავლობაში ქაღალდის მარკების ემისია 854 მილიონით გაიზარდა.

რკინის გზის ტარიფების ახალი გადიდება.

მანჩესტერი. 25 დეკ. გერმანიის მთავრობამ დაადგინა 1 იანვრიდან რკინის გზის ტარიფები გადიდებულ იქნეს 70 პროც.-ით.

გერმანია-ისპანიის შეთანხმება.

მანჩესტერი. 25 დეკ. სავაჭრო სამრეწველო წრეებში ლაპარაკობენ, რომ სავაჭრო მოლაპარაკება ბერლინსა და მადრიდს შორის ამ დღეებში სავაჭრო ხელშეკრულების დადებით დამთავრდება.

გერმანიის მუშებს შორის

მოსკოვი. 25 დეკემბ. ლიუდვიგსგაფენის გაფიცვის კომიტეტი აცხადებს, რომ 2 00 მუშაზე მეტი არ იქნებიან დაშვებული მუშაობაზე, მათი გაფიცვაში მონაწილეობის გამო.

კონტრიბუციის საკითხი და მოკავშირეთა ურთიერთი ვალები

ამერიკის მონაწილეობა

მანჩესტერი, 24 დეკემბერი. ხმები, შესახებ ამერიკის მთავრობის მიერ წარმოდგენილ პროექტისა კონტრიბუციის საკითხის გადასაწყვეტად თანდათან მართლდება. „ნიუ იორკ ტრიბუნი“, მიუხედავად იმისა რომ ის წინად ამ ხმებს უარყოფდა, სწერს, რომ ამერიკის მთავრობა მოსალოდნელია სულ ახლო ხანში ჩაერიოს კონტრიბუციის საკითხის გადაწყვეტაში. გაზეთი და აგრეთვე „ნიუ იორკ ჰერალდი“ იტყობინება, რომ არა ოფიციალური მოლაპარაკება ვაშინგტონის, პარიზის, ლონდონის და ბერლინის შორის წარმატებით მიმდინარეობს, ასე რომ ახლო ხანში უნდა ველოდეთ მოლაპარაკების შედეგების გამოქვეყნებას.

სპეციალისტთა თათბირი

მანჩესტერი, 24 დეკემბერი. ბერლინში გრძელდება სპეციალისტთა თათბირი, რომელიც გაგრძელდება საშობაო დღესასწაულების დროსაც. ნაშობებს მოხდება გადამწყვეტი თათბირი გერმანიის ახალი პროექტის შესახებ კონტრიბუციის საკითხის გადაჭრისა.

გერმანიის კონტრიბუციის განსაზღვრის გარშემო.

ნაუენი. 24 დეკემბერი. საფრანგეთმა და იტალიამ აცნობა ინგლისს, რომ მათ არ შეუძლიათ დაეთანხმონ, რათა გერმანიის კონტრიბუციის რაოდენობა განსაზღვრული იქნეს ფინანსთა ექსპერტების საერთაშორისო კომიტეტის მიერ, ვინაიდან ამ საკითხის გადაწყვეტა არ შეიძლება მოხდეს საფრანგეთის და იტალიის მთავრობების გარეშე.

მდგომარეობა იტალიაში

დაპატიმრებანი.

რომი. 25 დეკ. ტრიესტში დაპატიმრებული არის 5 გაზ. „ლავორატორი კომუნისტას“ რედაქტორები.

იტალია და ერთა ლიგა.

ნაუენი 24 დეკ. რომის „ტრიბუნის“ ცნობით, იტალიის მთავრობამ აცნობა სამხრეთ სლავიის მთავრობას, რომ უკანასკნელის განზრახვას—რაპალოში დადებულ ურთიერთ საზავო ხელშეკრულების ერთა ლიგისადმი რატიფიკაციისთვის გადაცემის შესახებ—იტალია ჩათვლის, როგორც მტრულ აქტს, ვინაიდან ეს განზრახვა ამტკიცებს მუსოლინის განზრახვისადმი უნდობლობას.

ლიტვის ცნობა

ბორდო 25 დეკ. ელჩთა კონფერენციამ აცნობა ლიტვის მთავრობას, რომ ინგლისმა, საფრანგეთმა, იტალიამ და იაპონიამ ლიტვა დე-იურე იცნეს.

სხვადასხვა ამბები

ირლანდიაში.

ნაუენი. 24 დეკ. აჯანყებულთა რაზმი თავს დაესხა ინგლისის მატარებელს ულსტერის საზღვრის ახლოს აჯანყებულებმა დაიწვეს ვაგონები და გაუშვეს მატარებელი იმ დროს, როდესაც ამუნიციით და იარაღით დატვირთული მატარებელი უკვე გამოსული იყო. მატარებლები ერთმანეთს დაეჯახნენ. მსხვერპლი და ზარალი მეტად დიდია.

პოლონეთი

მოსკოვი. 25 დეკემბ. პრემიერ სიკორსკიმ გადასცა პრეზიდენტს წინადადება მინისტრთა კაბინეტის კოლექტიური გადადგომის შესახებ პრეზიდენტმა არ მიიღო მათი გადადგომა.

— ახალმა პრეზიდენტმა ვოიცეხოვსკიმ მიიღო ფიცი. რატაიამ ძალაუფლება გადასცა ახალ პრეზიდენტს.

დეკის სიტყვა კომინტერნის ეოთხე კონგრესზე

ლეგა აღმოსავ- ან.

ინტერნის მეორე
ნეთ თეზისი აღ-
რევოლიუციონურ მოძ-
ლობაზე და ამ
მის აუცილებლო-
ამ შე ჩორქოლდა
ალისტური სამყა-
2 ნახევარ ინტერ-
ებიც. საკმარისია
კი, რომ კრისპინი
ჰალეში სისულე-
ობდენ, რომ ვით მ
ნელობას ვძლევდეთ
ვიდრე სამრეწველო
ტს.

დაგვანახა, რომ ჩვენ
ვუცდით. თქვენ გახსოვთ,
ორო გელანძლავდენ ეს ბატო-
აღმოსავლეთის ხალხთა კონგრე-
ემდეგ ქალაქ ბაქოში. მაგრამ,
ეგ ჩვენა ისტორიამ? ვერსალის
ტრაქტატი არსებობს მიუხედავათ ჰილფერდინგის პროტესტებისა; და ეხლა კი ბატონი ჰილფერდინგები ეხვეწებიან მთავრობაში შესასვლელათ, რომ იქ იმოქმედონ ანტანტის ლაქიების როლში. ოსმალეთის რევოლიუციონურმა მოძრაობამ კი, მოძრაობამ ოსმალეთის ხალხთა მასებისამ, მოსპო სევრის ტრაქტატი. და მაშინ, როდესაც 2 და 2 ნახევარი ინტერნაციონალები არავითარ როლს არ თამაშობენ კაპიტალიზმთან ბრძოლაში, ამ ბრძოლამ შეარყია მთელი დასავლეთ ევროპის წონასწორობა. ეს ფაქტი საუკეთესო მაჩვენებელია აღმოსავლეთში მომხდარ ამბების რევოლიუციონურ მნიშვნელობისა.

ეხლა რეფორმისტები გამოდიან სულ სხვა სიმღერებით, და მათთაგან პირველი მომღერალი პაულ ლევია. ეხლა აღარაფერს ამბობენ იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთის ხალხებს და აღმოსავლეთის რევოლიუციას არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ. ეხლა ისინი აცხადებენ: „შეხედეთ,—ქემალ-ფაშის გამარჯვება პუანკარეს გამარჯვებათ გახდა და საბჭოთა რუსეთი ქემალ-ფაშის დახმარებით, იმავ დროს პუანკარესაც დაეხმარა“. ლევი კი უმატებს: „აი რა დღეს მოვესწარით: სოციალ-დემოკრატებს არ ესმით, რომ მსოფლიო პოლიტიკაში მოქმედებენ სხვა და სხვა ძალები, რომ იმპერიალისტთა ცალკე ჯგუფები ცდილობენ, აღმოსავლეთის ხალხთა რევოლიუციონური ბრძოლის გამოყენებას თავის სასარგებლოდ და რომ სწორეთ ამიტომ რევოლიუციონერები ვალდებულნი არიან, დაეხმარონ აღმოსავლეთს, რათა მანაც მსოფლიოს მუშათა მოძრაობასთან ერთად აწარმოოს ბრძოლა მსოფლიო კაპიტალის წინააღმდეგ“.

ლევის და მის მსგავსთა წინასწარმეტყველება იმის შესახებ, რომ ოსმალეთის გამარჯვება არის საფრანგეთის გამარჯვებაც, მეტად ნაადრევია. ლოზანის კონფერენცია გვიჩვენებს, **რომ გამოღვიძების გზაზე შემდგარ აღმოსავლეთს, ექნება თავის წინააღმდეგ მსოფლიო კაპიტალის მთლიანი და შეკავშირებული ფრონტი.**

კომუნისტების დამოკიდებულება სხვა პარტიებისადმი

მე მივუდგები მეორე საკითხს, რომელიც თამაშობდა სათანადო როლს ოსმალეთის და ჩინეთის დელეგატების ვარაუდში.

ჩვენი თეზისები ამბობენ: დამონებული აღმოსავლეთი უნდა დაცულ იქნას, და დაცული იქნება კიდეც საერთაშორისო კაპიტალის წინააღმდეგ, ამისათვის კი ჩვენ მას გაუწევთ დახმარებას. მაგრამ აღმოსავლეთის ხალხთა მეთაურები არა მარტო კომუნისტები არ არიან, არამედ უმეტეს ნაწილად არც ბურჟუაზიული რევოლიუციონერები. მათ სათავეში არიან მომაკვდავ ფეოდალურ ჯგუფების წარმომადგენელნი, ოფიცრობა და ბიუროკრატია.

აღმოსავლეთში კომუნისტების დევნა და რეპრესიები, მიმართული გაფიცულ ჩინეთის მუშების წინააღმდეგ აყენებს ჩვენს წინ საკითხს, ჩვენი, ამ მმართველ ელემენტებისადმი დამოკიდებულების შესახებ. ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ამ საქმეების შესახებ დაუფარავად, გარეშე ყოველგვარ დიპლომატიისა.

რადგანაც ჩვენ გამოღვიძების გზაზე შემდგარ აღმოსავლეთს დახმარებას ვპირდებით, ჩვენ ერთი წუთითაც კი არ დაგვავიწყდება კლასიური ბრძოლა, რომელიც გაჩაღდება აგრეთვე აღმოსავლეთშიაც.

1847 წელს მარქსმა კომუნისტურ მანიფესტში გამოსთქვა აზრი არა მარტო გერმანიის ბურჟუაზიის დახმარების შესახებ, რამდენადაც ის გამოდის რევოლიუციონურად, არამედ პოლონეთის სხვილ მიწის მეპატრონეთა—აზნაურთათვის დახმარებისათვისაც, რომლებსაც გლეხთა საკითხში ეკავათ რევოლიუციონური პოზიცია.

რა თქმა უნდა, მარქსმა ძლიერ კარგად იცოდა, რომ მუშათა ახალგაზრდა მოძრაობას მოუხდებოდა კლასიური ბრძოლის წარმოება გერმანიის ბურჟუაზიასთან და პოლონეთის აზნაურობასთანაც. მარქსმა მხოლოდ ეს ჩვენა, თუ რა ფარგლებში მოითხოვდა განვითარების ამ შედარებით დაბალ საფეხურზე ბურჟუაზიის დახმარებას მაშინდელი კლასიური ბრძოლის ინტერესები, პროლეტარიატის მომავალი განვითარებისა.

კომუნისტების დევნა ოსმალეთში შეადგენს ერთ ნაწილს კლასიური ბრძოლისას, რომელიც ვითარდება ოსმალეთში, არა მარტო ერთი მხრით მუშათა კლასის და მეორეთი ბურჟუაზიის შორის, არამედ თვით ბურჟუაზიის ბანაკშიაც.

ჩვენთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ მის დევნაში უპირველესად პასუხისმგებელი არიან შინაგან საქმეთა მინისტრი რაუფ-ბეი და რაფეტ-ფაშა, რომლებიც ამავე დროს არიან მომხრენი მოკავშირეთა კაპიტალთან კომპრომისებისა და მოწინააღმდეგენი სულთანის ტახტიდან ჩამოგდებისა.

ეხლა დაისვა საკითხი იმის შესახებ, დაყრიან თუ არა იარაღს კაპიტალისტური კლასების რევოლიუციონური ელემენტები რეაქციონერების წინაშე, თუ არა?

პირველ შემთხვევაში ოსმალეთში დაიწყება ფაშების სამღვდელო მახინაციები, რომლებიც გაჰყიდიან ოსმალეთის ხალხს ბაყაშებში (ქრთამებში); მეორეში კი—რევოლიუციონურმა ელემენტებმა, რეაქციონურ სამღვდელოებას და ბიუროკრატიას უნდა გაუწიონ მასიური წინააღმდეგობა.

ჩვენ სრულიადაც არ ვნანობთ, რომ ოსმალეთის კომუნისტებს ვურჩევდით დახმარება გაეწიათ ოსმალეთის ნაციონალურ განმანთავისუფლებელი მოძრაობისათვის. თუ ფაშებმა გაჰყიდეს ოსმალეთის ხალხი, მაშინ ოსმალეთის გლეხკაცები მიხვდებიან, რომ კომუნისტები და მუშათა ახალგაზრდა კლასი—ერთად ერთნი არიან ვინც ნამდვილად იბრძოდა მათი ინტერესებისათვის. და ამ დღევანდელ მომენტშიაც კი, ჩვენ ვუცხადებთ ოსმალეთის კომუნისტებს: „ეხლანდელი მომენტისათვის არ დაივიწყოთ ახლო მომავალი. თავი დაიცავით თქვენი მდევნელებისაგან, იმავ დროს თქვენ შეგნებული უნდა გქონდეთ, რომ საბოლოო ბრძოლის დრო ჯერ არ დამდგარა; და რომ თქვენ, ჯერ კიდევ რამოდენიმე ხანი უნდა იაროთ ერთ გზაზე, იმ რევოლიუციონურ ელემენტებთან ერთად რომელიც მალე ჩამოუალიბდებიან.

მდგომარეობა ჩინეთში.

გადავიდეთ ჩინეთის მდგომარეობაზე. პეი ფუ აწარმოებდა ბრძოლას ჩანცზო-ლინთან, და დახმარების სათხოვნად მიმართა ჩინეთის კომუნისტთა ახალგაზრდა პარტიას, უკანასკნელმა მას მისცა კომისრები, რომლებმაც უზრუნველყვეს რკინის გზები იმ ჯარებისათვის, რომელიც აწარმოებდენ რევოლიუციონურ ბრძოლას. ის, ვინც ჩინეთში ებრძვის ჩინეთის იმპერიალიზმს, იბრძვის ჩინეთის ბურჟუაზიულ განვითარებისათვის.

ჩინეთის კომუნისტებმა თავისი მოღვაწეობით, მუშათა კლასში დაამკვიდრეს სოლიდარობის გრძნობა და მოიპოვეს გავლენა ჩრდილოეთ ჩინეთის მუშათა მასებზე.

და როდესაც რეფორმისტები [illegible] კვირვებული არიან იმ მოვლენ[illegible] რომ როგორ თუ არ გვესმის ჩვენ, რომ ყველა ეს უ-პეი ფუები გვიღალატებენ, ჩვენ ამაზე ვუპასუხებთ მათ:

მე-2 და 2 ნახ. ინტერნაციონალების პატივცემულო ბელადებო! წვრილი ბურჟუაზია ყოველთვის მერყევია და თქვენც, რომელ იც მათ რიცხვს ეკუთვნით, აგრეთვე ბევრჯერ გაჰყიდეთ მუშათა კლასი; და ჩვენ, ყოველი თქვენი ღალატის შემდეგ მაინც ვცდილობთ თქვენთან ერთად მთლიანი ფრონტის შექმნას და ბედის ირონიაც იმაშია, რომ თქვენ, მიუხედავად თქვენი ღალატისა, იძულებული ხართ კიდევ ჩვენთან ერთად იაროთ.

აღმოსავლეთის მმართველობის სათავეში მდგომი, მამაკვდავი ფეოდალური კასტა შეეცდება ათასჯერ გაჰყიდოს რევოლიუციონური ინტერესები, მაგრამ ისტორია აიძულებს მათ იბრძოლონ იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რადგანაც გაუთავებელი კომპრომისები უკანასკნელის მიმართ შეუძლებელია.

გამცემი ფაშები დაინახავენ, რომ ანატოლიის გლეხები ეხლა ის აღარ არიან რაც ომამდე იყვნენ.

ესერების ორგანოს „ვოლია როსიის“-ს კორესპოდენტი, რომელზეც არ შეიძლება ითქვას, რომ რაიმე სიმპატიით ეპყრობა საბჭოთა რუსეთს, იწერება კონსტანტინეპოლიდან, რომ ქემალ ფაშის გამარჯვების შესახებ ცნობის შთაბეჭდილების ქვეშ ათეულ-და ასეული ათასი ხალხი ესალმებოდენ საბჭოთა რუსეთს. ამ ხალხმა იცოდა, რომ საბჭოთა რუსეთმა შეკრა კავშირი ოსმალეთთან არა დიპლომატიური მოსაზრებებით, არამედ იმიტომ, რომ რუსეთის მუშებმა და გლეხებმა უარი სთქვეს იმპერიალისტურ პოლიტიკაზე.

ვდგევარ რა კომუნისტური ინტერნაციონალის თვალსაზრისზე მე ვაცხადებ: ჩვენ ვემყარებით არა შემთხვევითი პოლიტიკაზე, რომელსაც აწარმოებს ეს თუ ის ჯგუფი, არამედ ანგარიშს ვუწევთ დიდ ისტორიულ მოძრაობას, რომელიც აერთიანებს დასავლეთ ევროპის მუშათა მასსებს, გამოღვიძების გზაზე შემდგარ აღმოსავლეთის მასსებთან, მსოფლიო კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

გადავდივარ რა აღმოსავლეთში მომუშავე ჩვენი პარტიების მოხსენებებზე გეტყვით შემდეგს: „ამხანაგებო, გადამეტებით ნუ შეაფასებთ თქვენ ძალებს. აუცილებელია, იცოდეთ საქმეების ნამდვილი მდგომარეობა.

ჩინეთის ამხანაგმა განაცხადა რომ ჩინეთის კომპარტიამ გაიდგა მკვიდრი ფესვები მთელ ჩინეთში.

ნამდვილათ კი ჩინეთის კომპარტიის განვითარება მიმდინარეობდა ორი გზით, რომლებიც ერთი მეორესაგან არ იყო დამოკიდებული.

ჩინეთში და ჩანხაიში მომუშავე ამხანაგებმა ვერ შესძლეს მუშათა მასსებთან კავშირის გაბმა. ჩრდილოეთ ჩინეთში პროლეტარიატი სიერთოდ სუსტია და იქ პარტიას შეუძლია მხოლოდ რკინის გზელებზე დამყარება. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, კომპარტია ვერ იქნება საგრძნობი ძალა. მე მესმის ამხანაგ ლენინის სიტყვები: „იტრაბახეთ გამარჯვების შემდეგ და არა გამარჯვებამდე“.

ჩინეთის მდგომარეობა მოგვაგონებს გერმანიის 18 საუკუნის მდგომარეობას, როდესაც კაპიტალიზმი იმდენად სუსტი იყო, რომ არ არსებობდა ნაციონალური ცენტრიც კი. კაპიტალიზმის განვითარება ჩინეთში იწყება რამოდენიმე ცენტრიდან. ჩინეთის ამხანაგების ამოცანა შეიცავს—უპირველესად—ახალგაზრდა მუშათა კლასის ორგანიზაცია და—მეორედ—მიზანშეწონილი დამოკიდებულების დამყარება ბურჟუაზიულ-რევოლიუციონერ ელემენტებთან, ევროპის და აზიის იმპერიალიზმის საწინააღმდეგოთ. ჩინეთის ამხანაგები უნდა შევიდენ არა მარტო მუშებში, არამედ გლეხების მასსებშიაც.

მდგომარეობა იაპონიაში და ინდოეთში.

გადავდივარ იაპონიასა და ინდოეთზე. ძალთა განწყობილება ორივე ქვეყანაში ძალიან წააგავს ერთმანეთს. იქ უკვე არსებობს მოღონიერებული მუშათა კლასი, ორივე ქვეყანამ უკვე განვლო კრიზისი უფლებებისათვის ბურჟუაზიის ცალკე ფენების ბრძოლაში თავად აზნაურობასთან. და ორივე მხარეში **ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს მასსიური კომუნისტური მოძრაობა.** იაპონიაში ჩვენ ჯერ ვერ მოვასწარით შევდგომოდით მუშათა კლასის წინაშე მდგარ, კონკრეტულ ამოცანების განხორციელებას.

ჩვენ უნდა შევქმნათ პროფესიონალური კავშირები, ვაშენოთ კომუნისტური პარტია და წამოვაყენოთ საქმიანი პროგრამა, რომელიც მიუთითებს მუშათა კლასს მის პირდაპირ ამოცანებზე. უახლოესი ამოცანაა, რომ მუშათა კლასი წავიყვანოთ ბრძოლაში ორგანიზაციული მასსათ.

ინდოეთის კომუნისტებმა ჩაატარეს დიდი იდეური სამუშაო. ამხანაგ როის მშვენიერმა წიგნმა, ბრწყინვალეთ გააშუქა მდგომარეობა ინდოეთში.

შემდეგ, აქ გატარებულია მუშაობა მასსებში, რომელმაც საშუალება მისცა ინდოელ კომუნისტებს, ყოველდღიურ ბრძოლის გამოცდილებით, დაენახათ თავისი სუსტი მხარეები.

არც ერთ აღმოსავლეთის კომუნისტურ პარტიას არ ჩაუტარებია ასეთი მუშაობა.

მაგრამ ინდოეთის დიდ პროფმოძრაობაში ჩვენ ჯერ არ ვთამაშობთ არავითარ როლს. ჩვენ ვერც კი შევძელით გამოგვეყენებინა მუშაობის ის შესაძლებლობანი, რომელნიც შესაძლებელია ინგლისის ოკუპაციის პირობებში. იქ გვაქვს ზოგიერთი ლეგალური შესაძლებლობანი.

მე იმედი მაქვს, რომ ჩვენ შევსძლებთ აქ, კონგრესზე, დავაყენოთ პრაქტიკულ გზაზე ის მუშაობა, რომელსაც ასრულებთ თქვენ, და ასრულებს ჩვენი აღმოსავლეთის განყოფილებაც. და რომ, მახლობელ კონგრესზე ჩვენ მივიღებთ მუშაობის ისეთ გარკვეულ ანგარიშებს, როგორიც წარმოგვიდგინეს სპარსელ ამხანაგებმა. მაშინ კონგრესს ექნება არა მარტო გაგება აღმოსავლეთის საკითხის დიდს მნიშვნელობისა არამედ—შეგნებაც იმისა, რომ სრულდება დიდი მუშაობა, რომელიც შეესაბამება საკითხის დიდ მნიშვნელობას.

მეორე კონგრესის დროს მსოფლიო მდგომარეობა სხვანაირი იყო მაშინ დელეგატების დიდ ნაწილს იმედი ჰქონდათ იმისა, რომ ახლო მომავალში დასავლეთში იფეთქებდა რევოლუცია. ჩვენ კი ეხლა ვიმყოფებით რევოლიუციონურ ძალების შეკრების პერიოდში; და ეს აგრეთვე გავლენას ახდენს აღმოსავლეთის მდგომარეობაზე.

აღმოსავლეთში ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ ამ მიმართულებით

ჩვენი ლოზუნგი.

აღმოსავლეთში რევოლიუცია, რა თქმა უნდა, არ დაუცდის იმ მომენტს, როდესაც ყველა ქვეყნებში ჩვენი ამხანაგები შეიგნებენ იმას, რომ რევოლიუცია ნიშნავს [illegible] რევოლიუციონურ მუშაობა მასსებში.

თუ აღმოსავლეთში განვითარდენ ოსმალეთში მომხდარ ამბების მსგავსი შემთხვევები, და ჩვენ ვიქნებით სუსტები და ორგანიზაციულად მოუმზადებელნი, ისინი ჩვენ გვერდს აგვივლიან და ისე ჩაივლიან. ამისათვის ჩვენი ლოზუნგი უნდა იყოს:

აღმოსავლეთის მრავალ ტანჯულ მასსებისაკენ, აღმოსავლეთის ქვეყნების მუშათა მასსებისაკენ!

აუცილებელია მუშაობა მათი განვითარებისთვის, აუცილებელია საყრდენი პუნქტების შექმნა კომინტერნისათვის აღმოსავლეთში. საჭიროა პრაქტიკული მუშაობა პროფესიონალურ ორგანიზაციებში, რადგანაც ეს მოგვცემს საშუალებას გავ[illegible]ნა ვიქონიოთ ფართო მასსებზე.

მას შემდეგ, როდესაც ჩვენ შევძლებთ მუშების შეკრებას, ჩ[illegible] მუშაობა უნდა გადავიტანოთ გლ[illegible] მასსებში და მოხელეთა წრეებში.

ჩვენ უნდა ვიყოთ არა მარტო [illegible]ლი მოწინავე მუშათა პარტიისა, არამედ უნდა გავხდეთ ნამდვილ სახა[illegible] პარტიად.

მიიღება ხელისმოწერა

გაზეთებზე 1923 წლის 1 იანვრისათვის

გაზეთი	რომელ ენაზე	ხელისმოწერის ფასი ერთი ეგზემპლარის თვეში	
		ჩვეული	კოლექტ.
„კომუნისტი"	ქართული	280.000	200 000
„პრავდა გრუზიი" . . .	რუსული	280.000	200 000
„კარმირ ასტხ"	სომხური	230 000	200.000

კოლექტიური ხელისმოწერა მიიღება მხოლოდ მუშა-მოსამსახურეთაგან იმ პირობით, თუ გაზეთების კანტორაში წარმოდგენილ იქნება ხელისმომწერთა [illegible] სიები, რომელიც შემოწმებული უნდა იქნეს ადგილკომის მიერ.

ცალკე ნომრის ფასი

1923 წ. 1 იანვრიდან იქნება 10 000 მანეთი ყველგან.

ხელისმოწერა მიიღება მხოლოდ და მხოლოდ საქ. პარტიულ საბჭოთა პრესის **ცენტრალურ კანტორაში** (გაზეთის ტრესტი) რუსთაველის პრ. 24. დილის 9—2 საათამდე.

განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ დღის 1-ლ საათამდე.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ქალაქის მიწებზე სახლის აშენება.

კომუნალური მეურნეობის საექსპლოატაციო განყოფილების მიწის სექციაში შემუშავებულია პროექტი ქალაქის თავისუფალ მიწების გრძელვადიან (49 წ.) იჯარით გაცემის შესახებ მათზე შენობის აგების აუცილებელ პირობით. თანახმად პროექტისა, დადებულ ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებების მემკვიდრეობით გადაცემა შესაძლებელია. აგრეთვე შესაძლებელია აგებული შენობების დაგირავება და სხვებზე გადაცემა. იჯარის ვადის გასვლის შემდეგ, კომუნალურ მეურნეობას იმ შემთხვევაში თუ ახალ შეთანხმებას არ ექნა ადგილი, შეუძლია შეისყიდოს აგებული შენობები კომისიის შეფასებით, რომელშიაც შედიან კომუნალური მეურნეობის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლები. შენობის პატრონს შეუძლია შემფასებელ კომისიის დადგენილება გაასაჩივროს სახალხო სასამართლოში.

ბაქოს კანალიზაცია.

კომუნალურ მეურნეობის სამშენებლო განყოფილება იმუშავებს ქალაქ ბაქოს კანალიზაციის პროექტს შოლარის წყალსადენის ამშენებლობის ინჟინერ ლინდლეის დაუმთავრებელ [illegible] და ძველი ესკიზის მიხედვით. ლინდლეის ფრანკ[illegible]ტის კანტორას, რომელიც ერთ დროს კანალიზაციის პროექტის შედგენის წინადადებას იძლეოდა ლინდლეის ესკიზების მიხედვით, ჯერჯერობით არ გამოუგზავნია თავისი წარმომადგენელი მოსალაპარაკებლად.

სომხეთი

იაფი პური.

ერევანი. 25 დეკ. სასურსათო სახალხო კომისარიატი მუშათა კოოპერატივების საშუალებით აწოდებს პროფკავშირებს იაფ პურს. ყოველდღიური მოწოდება უდრის 120 ფ., რომელიც ნაწილდება ცალკე კავშირების შორის მოთხოვნილების თანაბრად. გირვანქა პური ღირს 40,000 მანეთი.

დახმარება ბოლგარეთის მუშებს.

სომხეთის მეტყავეების კავშირმა გაუგზავნა 800 000 მილიონი მანეთი ბოლგარეთის ტყავის ქარხნების მუშებს, რომლებიც უადგილოდ არიან დატოვებული მწარმოებლების მიერ ლოკაუტის გამოცხადების გამო.

მეტყავეების შორის.

27 დეკემბერს სომხეთის მეტყავეების კავშირი დღესასწაულობს მისი არსებობის ორი წლის თავს. არჩეულია სპეციალური კომისია დღესასწაულისათვის. მოხდა შეთანხმება ტყავის მრეწველობის განყოფილებისა და სატარიფო საბჭოს შორის მუშა მოსამსახურეების დაჯილდოებისა და სატარიფო განაკვეთების შესახებ.

საუბარი ამხ. მიასნიკოვთან

ტფილისი, 23 დეკ. საბჭოთა ყრილობაზე ჩამოსულმა ამიერ-კავკასიის [illegible] საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მიასნიკოვმა გაზეთების თანამშრომლებს აცნობა შემდეგი: „ამიერ-კავკასიაში ძირითად აღორძინებას შეადგენს სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესება. [illegible] სრულიად წესრიგშია მოყვანილი, მილის და სარდარაბადის მიხედვით [illegible] მოწყობა. მიწის მორწყვის მუშაობის დამთავრების შემდეგ, ამიერ-კავკასიას აღარ დასჭირდება პურის შემოტანა უცხოეთიდან. მიწის მორწყვის საქმის დაჩქარებისათვის უცხოეთში დაკვეთილია რამდენიმე ახალი ტრაქტორი, რომლის ნაწილი უკვე მიღებულია. აზერბეიჯანისა და სომხეთის ბამბის მოწყობის საქმე, რომელიც დაცემული იყო, აღდგენილი იქნება. განზრახულია ბამბის ნათესი მოიყვანონ პირველ შემთხვევაში გაფართოებული იქნეს 80.000 დესიატინამდე. ნავთის ამოღება ბაქოში დღეს აღწევს 500,000 ფუთამდე. ბურღვისათვის მუშაობს 40 საბურღავი დაზგა. აღდგენილია ქარხნები, რომლებიც უყურადღებოთ იყო დატოვებული იმპერიალისტური ომის შემდეგ, მათ შორის ყველაზე დიდი ქარხანა ბაქოში, ყოფ. მანთაშევის. იწარმოებს ბეკენდორფის დამწვარ ქარხნის შეკეთება და სხვ. ამიერ-კავკასიაში არსებული სავალიუტო გაუგებრობა განჭვრეტილია. შემოღებული იქნება ერთიანი ამიერ-კავკასიის ფულის ნიშანი, რომელიც ორი თვის შემდეგ შესცვლის ყველა ცალკე რესპუბლიკების ფულის ნიშნებს.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომპარტიის ცეკას.

(დეპეშა თიონეთიდან)

დღეს გაიხსნა პარტიული სკოლა. კურსანტების სახელით მხურვალე სალამი ცეკას.

სალამი მე-3-ე ინტერნაციონალს.

მდივნის მოადგილე კაკაბაძე

საქართველოს კომპარტიის რიგების გაწმენდის შედეგები

(ცენტრალური გამწმენდი კომისიის ანგარიშები)

ტფილისის ორგანიზაციის მე-2-ე რაიონი.

პარტიული ორგანიზაცია რაიონში გაწმენდის შემდეგ შემცირდა 65 კაცით, ანუ რაიონული ორგანიზაციის მთელი შემადგენლობის 18,5 პროც.

პარტიიდან გასვლის მიზეზების მიხედვით გამორიცხულთა განაწილება ასეთია: მექანიკურად გამორიცხულია (გაწმენდის ინსტრუქციის §10 თანახმად)—20 კაცი, გამორიცხულია—34 და დროებით გამორიცხულია—2 ამგვარად მექანიკურად გამორიცხულები შეადგენენ 35,7 პროცენტს, გამორიცხულები—60 % და დროებით გამორიცხულები—3,6.

გამორიცხულთა განაწილება მათი სოციალური მდგომარეობის მიხედვით ამგვარია:

	გამორიცხ.	დროებ. გამორიცხ.	მექან. გამ.	სულ
მუშები	18	2	5	25
ხელოსნები	6	—	—	6
გლეხები	—	—	1	1
მოსამსახ. და სხვ.	10	—	14	24
სულ — —	34	2	20	56

ცალკეულ სოციალურ ჯგუფში პარტიული რიგების შემცირება პროცენტულად ასეთია: თვითეულმა სოციალურმა ჯგუფმა გაწმენდის შემდეგ დაჰკარგა: მუშები—1 , მოსამსახ ხელოსნები—20,0, გლეხები 25 0 პროც. და მოსამსახ. და სხვ.—15,5 პროც., უმეტესი პროცენტი დაჰკარგეს გლეხებმა, შემდეგ ხელოსნებმა, შემდეგ სახ[illegible]. მოსამსახურეებმა და დანარჩენ, ინტელიგენტურმა და ნახევრად ინტელიგენტურმა ელემენტებმა; მუშებს უჭირავთ უკანასკნელი ადგილი.

გამორიცხვის მიზეზების მიხედვით. როგორც არა კომუნისტური, საეჭვო და მერყევი ელემენტი 9, ყოფილი პოლიციელი და თეთრებთან სამსახურისათვის—3, კარიერიზმის, პირადი სარგებლობის მიზნით პარტიაში შემოპარვის გამო—4, მორწმუნეობისათვის—1, სამსახურის ბოროტად გამოყენებისათვის და თვითმომარაგებისათვის—5, პარტიულ მოვალეობათა შეუსრულებლობისა და პარტიულ დისციპლინის დარღვევისათვის—2, პასიურ წევრობისათვის (ზედმეტი ბალასტი)—10, სულ—36 და მექანიკურად გამორიცხული—20.

ცენტრალური გამწმენდი კომისია.

საზოგადოება „ჩემო"-ს მორიგი საერთო კრება

23 დეკემბერს შესდგა საზოგადოება „ჩემო"-ს წევრთა მორიგ საერთო კრების მეორე სხდომა, რომელზედაც მოისმინეს საზოგადოების გამგეობის მოხსენება საზ. „ჩემო"-ს მოღვაწეობის შესახებ. შეეხო რა მოკლედ საზოგადოების აღმოცენების ისტორიას, რომელიც დაიწყო დიდი ევროპის ომის დამთავრებისას, რევოლიუციონური მოძრაობის გაღრმავების დროს, ეკონომიური პოლიტიკის სფეროში ძირითადი ცვლილების ეპოქაში, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საზოგადოების მოღვაწეობის დასაწყისში, ცენტრის ორგანიზაცია, რომელსაც საქმე სწორ გზაზე უნდა დაეყენებია, მოიკოჭლებდა თავის სტრუქტურის დაუსრულებლობით. საბჭოს პრეზიდიუმი წარმოადგენდა რა ხელმძღვანელ ორგანოს, ამავე დროს იყო აღმასრულებელი ორგანოც; და მხოლოდ დასახმარებლად შემოღებული იყო მრჩეველთა ინსტიტუტი. მაგრამ ეს ორგანოც, განსაკუთრებულ პირობების გამო, რომელთაც ადგილი ჰქონდა 1921 წ. თებერვლიდან, ათი თვით მუშაობის შეწყვეტის შემდეგ, როდესაც საზოგადოებას საშუალება მიეცა ექსპორტის განახლებისათვის, ხელახლად იქნა გადასინჯული საზოგადოების წესდების თანახმად საბჭო და აღმასრულებელი ორგანო დირექციათ. ამით საბოლოოდ დასრულებულ იქნა საზოგადოების ცენტრალურ ორგანოების ორგანიზაცია და შემდეგში მათი მუშაობა შედარებით ნორმალურად მიმდინარეობდა. ამ ორგანოების ამოცანას შეადგენდა საზოგადოების უმთავრესი მიზნების განხორციელება ადგილობრივად მტკიცე, [illegible] მოქნილი ორგანიზაციების საშუალებით ბაზარზე გამოსვლა და იქ [illegible] ბატონობის მოსპობა. ეხლა საზოგადოების სამი წლის მოღვაწეობის შემდეგ, თუ გადავხედავთ განვლილ გზას, შეგვიძლია დარწმუნებით ვსთქვათ, რომ საზოგადოება დაადგა სწორ გზას თავის მიზნების მიღწევისათვის, რომლის განხორციელება მომავალში სავსებით დამოკიდებულია გარეშე პირობებისაგან. ეს გზა გაყიდვის სისტემის და დასახულ ადგილობრივ ორგანიზაციების ახალ პოლიტიკაშია. საგარეო დელეგაციის მუშაობის შედეგი, რომელიც უცხოეთში დაარსდა 1920 წ. აპრილში 6 წევრის შემადგენლობით (ჯერ ლონდონში, ხოლო შემდეგ როტერდამში) სავალალო მდგომარეობაში ჩავარდა. დელეგაცია და საბჭო იმ თავითვე დაადგა ფასების უზომოდ აწევის გზას- ამის გამო გაყიდვის საქმე შეფერხდა; ამით ისარგებლეს კონკურენტებმა, უმთავრესად ინდოეთმა, რომელიც ასაღებდა თავის საქონელს მათთვის ძლიერ მდაბალ ფასებში. ქარხნებმა მომარაგეს საკმაო მადანი და ჩვენ შეგვავიწროვეს ბაზარზე. ეს მოხდა მაშინ, როცა მოთხოვნილება ჩვენს მადანზე ძლიერ იყო. მომხსენებლის მიერ მოყვანილ ციფრებიდან სჩანს, რომ 1920 წელს დელეგაციის უცხოეთში ყოფნის დროს ადგილი აქვს ექსპორტის შემცირებას, რაც სრულებით არ არის საჭირო არც შავი ქვის და არც ეგრედ წოდებულ „ბაზრის დაპყრობის" თვალსაზრისით. საზოგადოების ახალ ხელმძღვანელ ორგანოებს დასჭირდა ბაზრის დაპყრობათ, რაც გაგვასხლტა წინანდელი ხელმძღვანელების რისკიანი პოლიტიკისა და შემდეგ საზღვარგარეთ [illegible] პოლიტიკური ცვლილებები გამო. საბჭომ გადაწყვიტა გაეტანა მადანი დიდი რაოდენობით, არ დაერიდოს არავითარ ფასებს, და [illegible] ერთად ერთი მიზნით გაიწმინდოს მადანის თუ გინდ მხოლოდ თვითღირებულება. ხოლო მოგების დაკარგვის გზით შეიძლებოდა ჩვენი კონკურენტების ბაზრიდან განდევნა. მაგრამ ასეთი პოლიტიკა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ჩვენ მადანის საკმაო მარაგი გვექნებოდა ჭიათურის რაიონის საწყობებში.

მაგრამ, ეხლა როდესაც, ეს მარაგი გაანადგურა ოქტომბრის მოვლენილმა სტიქიამ, ძნელი იქნება ასეთი პოლიტიკის გატარება, ვინაიდან ახალი მარაგის დამზადებას მოუნდება კოლოსალური ხარჯები, რომლის გაღება შეუძლებელია მიმდინარე წლის მცირე შემოსავალის დროს. მაგრამ მიუხედავად ამისა მიმდინარე წლის 11 თვის განმავლობაში გაზიდულია 9 938 454 ფუთი მადანი, თითქმის იმდენივე, რამდენიც 1920 წელში იყო საექსპორტო, და რომ ჭიათურის რკინის გზის შტოზე მოძრაობა არ შეფერხებულიყო, ნოემბერში და დეკემბერში ექსპორტის ციფრი გადააჭარბებდა 1920 წ. ციფრს. სტამბოლში დაარსებულ აღმასრულებელ კომიტეტის გაუქმების გამო, რომელმაც ვერ გამართლა საბჭოს იმედები, საზოგადოების წინაშე კვლავ სდგას საკითხი უცხოეთში მოქნილ და პრაქტიკულ მუშაობისათვის უფრო გამოსადეგ ორგანიზაციის დაარსების შესახებ. საბჭომ გადაწყვიტა აგრეთვე მოახდინოს ფოთის და ჭიათურის აგენტურის რეორგანიზაცია უფრო ფართო სამმართველოებში, მაგრამ ამ რეორგანიზაციის გატარება შეჩერებულია წყალდიდობის შემდეგ ჭიათურიდან მადანის გადაზიდვის შეწყვეტის გამო. [illegible] საკითხს, რომლის გადაჭრისაგან საგრძნობლად დამოკიდებულია შავი-ქვის ექსპორტის ბედი, შეადგენს მტვირთავებთან ურთიერთობის მოწესრიგება. შრომის ეხლანდელ ხელფასის დროს, როდესაც მუშა დღიურად გვიჯდება 3 მან. ოქროთი, წარმოება შეუძლებელია, ვინაიდან დატვირთვის წინანდელ პირობებს წარმოება იტანდა მით, რომ ექსპორტი საზრდოობდა ძველი მარაგით, ეხლა კი როდესაც ეს მარაგი გაანადგურა წყალდიდობამ, აუცილებელია მისი აღდგენა, რისთვისაც საჭირო იქნება ახლო მომავალში შეუდგეთ წარმოებას ფართო მასშტაბით. ამისათვის მთავრობამ და თვით მუშებმაც ყოველივე დახმარება უნდა გაუწიონ ამ საქმეს და შეიმუშაონ ახალი, წარმოებისათვის [illegible] შრომის პირობები და მიიღონ მხედველობაში შავი ქვის მრეწველობის [illegible] სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. ანგარიშებისა და რევიზიის მოხსენების წაკითხვის შემდეგ, სახალხო კომისართა საბჭოს წარმომადგენელი კ. მოდებაძე [illegible] ყურადღებას აქცევს გასავალის 105 116 გირ. სტერლინგით გადაჭარბებას; მათ შორის, გასავალია მათ შორის 58,989 გირ. სტერლინგი ვალიუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული და 80,414 გირ. სტერლინგი გაწეული უცხოეთის ორგანიზაციების შენახვაზე. უცხოეთის ხარჯები მან შედარებით ზედმეტად მიიჩნია, რაც შეეხება კურსის განსხვავებით გამოწვეულ ხარჯებს, რამდენადაც „ჩემოს" ორგანოები ღებულობდნენ ენერგიულ ზომებს ასეთი ხარჯების წინააღმდეგ და ამაზე ეთანხმებოდენ ძველ მთავრობას, იმდენად, ეხლანდელ მთავრობას არ შეუძლია ამაში მონაწილეობის მიღება. დირექტორი კ. თუმანოვი და საბჭოს თავმჯდომარე [illegible] ამტკიცებდენ, რომ რამდენად ხარჯების გაღება უცხოეთის ორგანიზაციებისათვის ხდებოდა საზოგადოების სრულუფლებიანი ორგანოების დადგენილებით, იმდენად ის უნდა მიიღოს მთავრობამ, კურსის განსხვავებას ადგილი ჰქონდა ობიექტიური პირობების გამო, რომელიც არ იყო დამოკიდებული საზოგადოებიდან, ამიტომ მთავრობა უნდა ეთანხმებოდეს საზოგადოებას. საკითხი ზედმეტი ხარჯების შესახებ, რასაც ადგილი ჰქონდა კურსის განსხვავების გამო, მოიხსნა დღის წესრიგიდან მახლობელ საერთო კრებამდე.

სახალხო სასურსათო კომისარიატში

ულუფის განაწილება და შეფასება. სახალხო სასურსათო კომისარიატმა შეიმუშავა და დაწესებულებებს დაუგზავნა ინსტრუქცია ამა წლის ოქტომბრის და ნოემბრის მშრალ ულუფის განაწილების და შეფასების შესახებ.

ამ ინსტრუქციის თანახმად ოქტომბრისა და ნოემბრის მშრალი ულუფა ეძლევათ იმ საბჭოთა მოსამსახურეებს, რომელნიც ხსენებულ თვეებში სახელმწიფოებრივ მომარაგებაზე ითვლებოდნენ, ან ეს ულუფა უნდა მისცეს [illegible] სახალხო სასურსათო კომისარიატთან დადებულ ხელშეკრულების თანახმად.

ერთის თვის ულუფაში შედის:

ფქვილი შაქარი	.	1 გირ.
კარტოფილი	.	10 გირ.
ლობიო	.	10 გირ.
მარილი	.	4 გირ.

I. ოქტომბრისა და ნოემბრის ულუფის ფასი იმ წარმოებათა და დაწესებულებათათვის, რომელნიც მუშა მოსამსახურეებს ჯამაგირს აძლევენ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული მტკიცე ტარიფით (დადგენილება № 51), შემდეგია:

გირვანქა ფქვილი შაქარი	25,000 მ.
10 გირვანქა კარტოფილი	20.000 მ
10 „ ლობიო	40 000 მ.
ორი გირვანქა მარილი	6.000 მან.

სულ მშრალი ულუფა 91.000 მან. თითო თვეში.

1) პური თითო გირვანქა თანამშრომელზე, გირვანქა 3.500 მან. შეფასებით—105.000 მან, ხოლო მშრალ ულუფასთან ერთად—196.000 მანეთი თითო თვეში.

2) პური ორი გირვანქა თანამშრომელზე, გირვანქა 3 500 მან. შეფასებით—210 000 მან., ხოლო მშრალ ულუფასთან ერთად—301 000 მან.

3) პური ორი გირვანქა ნახევარი თანამშრომელზე გირვანქა 3.500 მანეთის შეფასებით 263 000 მან, ხოლო მშრალ ულუფასთან ერთად—354 000 მან. თითო თვეში.

II. ოქტომბრის ულუფის ფასი იმ წარმოებათა და დაწესებულებათათვის, რომელთაც კოლექტიური ხელშეკრულება აქვთ დადებული და მუშა მოსამსახურეებს ჯამაგირს აძლევენ მტკიცე ტარიფზე მეტს, შემდეგია.

მშრალი ულუფა ზემოხსენებულ რაოდენობით და შეფასებით 91.000 მან.

1) პური ერთი გირვანქა თანამშრომელზე გირვანქა 5.500 მან. შეფასებით—165 000 მან., ხოლო მშრალ ულუფასთან ერთად—256 000 მან.

2) პური ორი გირვანქა თანამშრომელზე გირვანქა 5.500 მან. შეფასებით 330 000 მან., ხოლო მშრალ ულუფასთან ერთად—421 000 მან.

3) პური ორი გირვანქა ნახევარი თანამშრომელზე გირვანქა 5 500 მან შეფასებით 413.000 მან, ხოლო მშრალ ულუფასთან ერთად 504,000 მან.

III. ნოემბრის ულუფის ფასი იმ წარმოებათა და დაწესებულებათათვის, რომელთაც კოლექტიური ხელშეკრულება აქვთ დადებული და მუშა-მოსამსახურეებს ჯამაგირს აძლევენ მტკიცე ტარიფზე, შემდეგია:

მშრალი ულუფა ზემოხსენებულ რაოდენობით და შეფასებით 91.000 მ.

1) პური ერთი გირვანქა თანამშრომელზე გირვანქა 5 ათას მან. შეფასებით 150 ათასი მანეთი, ხოლო მშრალ ულუფასთან ერთად—241,000 მანეთი.

2) პური ორი გირვანქა თანამშრომელზე გირვანქა 5 ათას მან. შეფასებით 300 ათას მან., ხოლო მშრალ ულუფასთან ერთად 391 ათას მან.

3) პური ორი გირვანქა ნახევარი თანამშრომელზე გირვანქა 5 ათას მ. შეფასებით 375 ათასი მანეთი, ხოლო მშრალ ულუფასთან ერთად 466,000 მანეთი.

ამ შეფასების მიხედვით უნდა გამოირიცხოს ჯამაგირი ულუფის ფასის [illegible] დაჭერის შემდეგ.

მუშათა ცხოვრება

მუშა ვარ, მინდა სინათლე

მუშა ვარ, მაგრამ მინდა სინათლე
სწავლის სურვილით მიტოკავს გული.
მსურს მეც ვიყო ადამიანი,
თავისუფალი, განათლებული!

მინდა რომ ვიცოდე, [illegible]
და შრომა იყოს [illegible]
მოისპოს მონობა, [illegible]
შევქმნა ცხოვრება [illegible].

მსურს ერთა შორის რომ დავამყარო
ძმობა, ერთობა და სიყვარული;
კიდით კიდემდე ავაფრიალო
სიმართლის დროშა, სისხლით მორწყული.

ძვირად დაგვიჯდა მის მოპოვება,
რასაცა ჰქვიან თავისუფლება,
მრავალ ტანჯულთა ცრემლმა და სისხლმა
წითლად შეღება მისი ემბლემა.

თუმცა წითელ ფერს, ჩვენს საამაყოს,
გარს ახვევია ახლაც მტრები.
მაგრამ ვერაფერს მას ვერ აწყენენ
ხელი და სუსტი მათი რაზმები.

[illegible] ტახტი ჩვენ შევარყიეთ.
დაინგრა მათი ტკბილი ცხოვრება.
დადგა დრო რაც [illegible]
„უბედურთათვის"—ბედნიერება!

მუშ. ალექსი ბაჟიაშვილი.

ყოფილი ადელხანოვის ფეხსაცმელების ფაბრიკა

ფაბრიკა იმყოფება უმაღლეს სამეურნეო საბჭოს გამგებლობაში. მუშაობას ეწევა 62 კაცი და 3 ქალი. გარდა ამისა, მუშაობას ეწევიან აგრეთვე მცირე წლოვანნიც, რომელთა მიმართ დაცულია ნორმალური სამუშაო დრო. ადმინისტრაცია ვერ სდგას თავის მოვალეობის სიმაღლეზე, და ძველ [illegible] აქვს ადგილი. შრომის ინსპექციის მოთხოვნილებებს ნაკლებათ აქცევს ყურადღებას. მაგალითად, რამდენჯერ იყო წარდგენილი მოთხოვნილებანი: პირსაბანის, პირსახოცების, ვენტილაციო ფანჯრების და სხვათა შესახებ. მაგრამ, სამწუხაროთ, ეს მოთხოვნილებანი დღემდის ქაღალდს არ გასცილებია. ვიმედოვნებთ, შემდეგში ასეთ გარემოებას ადგილი აღარ ექნება, და შრომის ინსპექციის მოთხოვნილებებს სათანადო ყურადღება მიექცევა. კულტურულ სფეროშიც მუშაობა სამწუხარო მდგომარეობაში არის, რადგან [illegible] გაზეთის მიღებით ამოიწურება მთელი კულტურული მუშაობა. **იხ.**

საბჭოთა მეორე ბამბის სართავი ფაბრიკა.

ფაბრიკაში 15 კაცი და 10 ქალი ეწევა მუშაობას. ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა, შედარებით წინანდელთან, დიდად გაუმჯობესებულია. დღეს უკვე აღარ გვხვდება ოჯახის და სხვა ნივთების გატანა ბაზარზე, როგორც ეს წინათ ხდებოდა. ფაბრიკა სანიტარულ ჰიგიენურ მხრივ ძლიერ კარგ პირობებში იმყოფება. სამუშაო ოთახები საკმაოდ სუფთა და სინათლიანია. ფაბრიკა შესდგება მრავალი განყოფილებისაგან. ზოგიერთ განყოფილებებში სამუშაო პირობები მეტად ცუდია. ამ ფაბრიკის მუშებს ერთი [illegible] მდგომარეობა გვაქვს. ჭუჭყში გვიხდება მუშაობა. მაგრამ თვით წარმოების ხასიათი ასეთია, ამას ვერ გავექცევით. ასეთ პირობებში ჩვენთვის აუცილებელია აბანო. სამწუხაროთ აბანოს საქმე ვერ არის მოწესრიგებული. კარგი იქნება ადმინისტრაცია ამ საქმეს დროზედ მოაწესრიგებდეს და მით დაგვიხსნიდეს ჭუჭყისაგან. ადმინისტრაცია შრომის ინსპექციის მოთხოვნილებებს საერთოდ ყურადღებით ეკიდება. წარმოებასთან არსებობს მუშებისათვის სასადილო. **ი. დ.**

ქალაქ თბილისის წისქვილები

როგორც ვიცით, თბილისში არის რამდენიმე წყლით და ორთქლით მოძრავი წისქვილი, რომელნიც დაფანტულია ქალაქის სხვა და სხვა კუთხეებში. ზემოხსენებული წისქვილები ეკუთვნის მათ ძველ პატრონებს. ყველა წისქვილებში მუშაობს სამოცდა ხუთ მუშამდე, რომელნიც შეერთებულნი არიან ერთი კომიტეტით. წისქვილების პატრონებთან მუშებს აქვთ კოლექტიური ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების ძალით თითოეული მუშა გასამრჯელოს ღებულობს თვიურად, საშუალოდ ოთხ მილიონ მანეთამდე, „სპეციალურ ტანსაცმელს" და ერთ ნაჭერ საპონს.

მუშებსა და წისქვილების პატრონთა შორის ჯერ-ჯერობით უსიამოვნება და კონფლიქტებს ადგილი არა აქვს.

რაც შეეხება კულტურულ განმანათლებელ მუშაობას, გულახდილად უნდა ვსთქვათ, რომ ასეთი მუშებს შორის სრულებით არ წარმოებს, რის გამო მათ შორის არიან წერა-კითხვის უცოდინარი პირნი. ეს არა სასურველი მოვლენა მუშათა შორის იწვევს უკმაყოფილებას ქალაქის აღმასკომისადმი. თანახმად მუშების განცხადებისა, ეს უკანასკნელი მათ შენობას არ აძლევს კლუბის გასახსნელად და [illegible] მიაჩნიათ მიზეზად მათში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შეუძლებლობისა.

ამის გამო მუშები აღმასკომისაგან მოითხოვენ სათანადო შენობას თავის კლუბისათვის. თხოულობენ აგრეთვე ადგილობრივ გაზეთებს, საგიტაციო და ბელეტრისტულ ლიტერატურას. მუშები გამოთქვამენ დიდ სურვილს გახსნან თავისი ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

ერთი მათგანი.

ს. ა. გასპარიანცის ხის სახერხი ქარხანა

ხის სახერხი ქარხანა, რომელიც მოთავსებულია დიდი მთავრის ქუჩაზე № 12, ეკუთვნის ს. ა. გასპარიანცს და არის სრულ მის განკარგულებაში. ამ ქარხანაში მუშაობს თორმეტი მუშა. ექვსი მათგანი ითვლებიან მუდმივ სამსახურში და გასამრჯელოს ღებულობენ თვიურად, დანარჩენი ექვსი კი ღებულობენ გასამრჯელოს დღიურად. მუშებსა და მოქ. გასპარიანცს ჰქონდა დადებული კოლექტიური ხელშეკრულება, რომელსაც გაუვიდა ვადა თუთხმეტ დეკემბერს.

მუშებმა ქარხნის პატრონს, გასპარიანცს, მოსთხოვეს ხელშეკრულების განახლება სამი თვით. მოქ. გასპარიანცმა ამაზე კატეგორიული უარი განაცხადა. როგორც კანონი და წესიერება მოითხოვდა, ამ საქმეში ჩაერია პროფკავშირი, რომელმაც გადაუწყვიტა მოქ. გასპარიანცს კოლექტიური ხელშეკრულების განახლება სამი თვით, თუთხმეტი დეკემბრიდან—თხუთმეტ მარტამდე. გასპარიანცი ეხლაც მტკიცედ სდგას თავის პირველ პოზიციაზე და ამბობს, კონტრაქტზე არ ვდებ. [illegible] მუშებს აგინებს და აშინებს მათ დათხოვნით.

ამ კონფლიქტის შესახებ ქარხნის პატრონს, გასპარიანცს, მე პირადად და არსებითად შევეკითხე, მაგრამ [illegible] მიზეზი [illegible]. გასპარიანცმა განაცხადა, რომ მას სახერხი ხის მასალა არა აქვს და მის მუშებს ქარხანაში არავითარი საქმე არა აქვთ. როგორც გავიგე, გასპარიანცის განცხადება სიმართლეს მოკლებულია და წარმოადგენს ძველ „[illegible]" და თავხედურ ექსპლოატაციის მახინაციას.

მუშები კატეგორიულად მოითხოვენ მათი ინტერესების დაცვას და პროფკავშირის დადგენილების სისრულეში მოყვანას.

X

საბჭოთა პირველი სანიმუშო სტამბის საზეიმო გახსნა

წარსულ კვირას მოხდა ჩვენი პოლიგრაფიული წარმოების ხელმძღვანელი ორგანოს მიერ მოწყობილი საბჭოთა პირველი სანიმუშო სტამბის საზეიმო გახსნა. სამი საათისთვის სტამბის შენობაში (პლეხანოვის პროსპექტი № 91) თავი მოიყარა ამის გამო მოწვეულმა ამხანაგებმა, სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარმომადგენლებმა, პოლიგრაფიულ განყოფილების ხელმძღვანელებმა, ბეჭდვითი კავშირის წევრებმა და გამგეობის წარმომადგენლებმა. მოწვეული იყვნენ აგრეთვე პრესის წარმომადგენლებიც. დამსწრეთა საერთო რიცხვი აღემატებოდა ას ოც კაცს.

ზეიმი გახსნა ამხ. ვანო ბოლქვაძემ [illegible] სიტყვით, რომელშიაც მან დაახასიათა მუშათა მდგომარეობა ერთი მხრით ბურჟუაზიული წყობილების დროს, როდესაც ის დამონებული იყო და მეორე მხრით მისი შემოქმედებითი უნარიანობა მშრომელთა ხელისუფლების, პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში, როდესაც ფართოდ გასაქანი ეძლევა მის ინიციატივას და აღმშენებლობითი მუშაობას თავისი კლასიური საქმის განსამტკიცებლად და [illegible]. მან მიულოცა [illegible] მუშებს [illegible] რომელმაც შედეგად მოგვცა ასეთი სანიმუშო სტამბა.

გარემოების შესაფერისი სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ამხ. [illegible], [illegible], [illegible], საყვარელიძემ, ცინცაძემ და სხვ.

სიტყვების გათავების შემდეგ დამსწრენი მიპატიჟებულ იქნენ [illegible] კაცისათვის [illegible] ბანკეტზე, რომელიც მოაწყო პოლიგრაფიულმა განყოფილებამ.

აღსანიშნავია ეს სტამბა, რომელიც ერთი დიდი მიღწევათაგანია ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობის და მადლობის ღირსია პოლიგრაფიული წარმოების მესვეურები და მუშები, რომელთა შრომით ჩვენ გვაქვს დღეს ეს მართლაც სანიმუშო სტამბა.

ქრონიკა

36/11/51

განათლების კომისარიატში

— სახალხო განათლების კომისარიატის საბავშვო სახლები. 1 იანვრიდან სახალხო განათლების კომისარიატის საბავშვო სახლებთან (მიხაილოვის ქ. № 164 და იზმაილოვის ქ. № 5) გაიხსნება საბავშვო ბაღები, სადაც მიიღებიან ბავშვები 3 წლიდან 7 წლამდე. მშობლებმა უნდა მიმართონ ბავშვების ბაღებში მისაღებათ აღნიშნულ სახლების გამგეებს.

ტფილისის სამუსიკო სასწავლებლები

— პირველი სახელმწიფო სახალხო სამუსიკო სასწავლებელი. პირველ სახელმწიფო სახალხო-სამუსიკო სასწავლებელში (ველიამინოვის ქუჩა № 3) ამ ჟამად ირიცხება 261 მოწაფე. ეროვნების მიხედვით ქართველები 30, რუსები—48, სომხები—185, და სხვა და სხვა ეროვნების—9. აღნიშნული საერთო რიცხვი სქესის მიხედვით შემდეგია: ვაჟები—43, ქალები—218. უფასოდ მყავანილია 57 მოწაფე. ამავე სასწავლებელში მასწავლებლები არიან 27.

— სახალხო სახელმწიფო მეორე მუსიკალური სასწავლებელი. ამ სასწავლებელში ირიცხება 142 მოწაფე. ეროვნების მიხედვით არიან: ქართველები—[illegible], რუსები—15, ებრაელები—2, სომხები—84. მათში 112 ქალია და 30 ვაჟ. სწავლის ფულისაგან განთავისუფლებულნი არიან 46. აღნიშნულ სასწავლებელში არის 22 მასწავლებელი.

— სახელმწიფო სახალხო სამუსიკო მესამე სასწავლებელი. აღნიშნულ სასწავლებელში (ნიკოლოზის ქუჩა № 83) ირიცხება 164 მოწაფე, ეროვნების მიხედვით არიან: ქართველები—47, რუსები—58, სომხები—42, ებრაელები—7 და სხვა და სხვა ეროვნების—10. ქალები—130, ვაჟები—24 ამათგან უფასოდ სწავლობს 14. სასწავლებელში არის 17 მასწავლებელი.

კრებები და მოხსენებები

— დღეს, დეკემბრის 26, უნივერსიტეტის პირველ აუდიტორიაში, სტუდენტთა „ისტორიულ ლიტერატურული" წრე გამართავს მორიგ მოხსენებას. მომხსენებელია ამხ. გიორგი თავზარაშვილი. თემა: „საქართ. სახელმწიფოებრივი იდეა მე 17 საუკ. და სააკაძის პრობლემა" დასაწყისი საღ. 7 საათზე. დასწრება შეუძლია ყველა სტუდენტს.

აღმოსავლეთ საქ. რევ-ტრიბუნალში

ბორჯომ მომხდარ წითელ არმიელის გასამართლება. 27 დეკემბერს, რევტრიბუნალის საჯარო სხდომაზე დანიშნულია ტფილისის მაზრის სამხედრო კომისარიატის სადარაჯო გუნდის წითელ არმიელის შალვა [illegible] საქმე. ბრალდება აღნიშნულ კომისარიატის [illegible] წარმოდგენის კულტურულ განმანათლებელ სექციის სასარგებლოდ გაყიდულ ბილეთების ფულის მითვისება, აგრეთვე ყაზარმიდან რუსული სახელმწიფო ვინტოვკის გატაცება ტყვიებით და ამის შემდეგ სოფელ ნორიოს მცხოვრებლების გაცარცვა, სიკვდილის დამუქრებით, რის შემდეგ იგი შეპყრობილი იქნა. ბრალდება გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 1 ნაწილის 191—210—116 და მეორე ნაწილის 213 მუხლის ძალით.

— [illegible]-ხარბიძისათვის. ტფილისის სისხლის სამართლის მილიციის ფარულ ნაწილის უფროსმა ([illegible]), მიიღო ცნობა, რომ ბოროტგანზრახველები აპირებენ [illegible] ქ. მცხოვრებ ვინმე მდიდარ ებრაელის გაძარცვას. აღნიშნული ნაწილის უფროსი რამდენიმე თანამშრომლის თანხლებით 12 ივნისს ღამით ჩაუსაფრდა მითითებულ ადგილზე ბოროტგანზრახველებს, რის შემდეგ შეპყრობილნი იქნენ: სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიურ განყოფილების სტუდენტი ვიქტორ იოსების ძე სანაია ([illegible] წლის, ცოლიანი, [illegible] სოციალ-ფედერალისტთა პარტიის წევრი), და ოზურგეთის მაზრის მცხოვრები კანონ [illegible] ძე ბერძენიშვილი (23 წლის, წერა-კითხვის მცოდნე), სანაიას პორტფელში აღმოაჩნდა ყალბი ორდერი საქართველოს საგანგებო კომისიისა № 5751, [illegible] აღნიშნულ ებრაელის დაპატიმრებისა და მისგან ნახევარი მილიონი ოსმალური ლირების აღების. მასვე აღმოაჩნდა საგანგებო კომისიის [illegible] ბლანკი [illegible] და ნაგანის რევოლვერი. აღნიშნულ სანაიას აგრეთვე ბრალდება [illegible] სხვა და სხვა დროს ჩადენილი. აღნიშნულ პირების საქმეს რევტრიბუნალი გაარჩევს 28 დეკემბრის საჯარო სხდომაზე.

ხელოვნება

ხელოვანთა სასახლე

პაოლო იაშვილის მოხსენება.

კვირას, 24 დეკემბერს, ხელოვანთა სასახლეში გაიმართა სრულიად საქართველოს ახალი მწერლობის კავშირის მორიგი საღამო. პაოლო იაშვილმა წაიკითხა მოხსენება ნეგრი მწერლის რენე მარანის ახალ რომანზე „ბატუალა". ამ რომანმა გამოსვლისთანავე თითქმის მოიარა მთელი ევროპა, რომელმაც პირველათ პარიზში მიიღო გონკურების პრემია. რომანი დაწერილია ახალი მანერით და წარმოადგენს პრიმიტივის შედევრს. ფაბულა აღებულია ნეგრების ცხოვრებიდან და სავსეა ტროპიკული სურნელებით. რომანიდან აგრეთვე ხშირათ იხედება [illegible] დამონებულ შავკანიანთა მოდგმის თვალები საკუთარ თეთრკანიანებისადმი. რომანში უძლიერესათ გაშლილია რასიული ფინალი: სისხლი და სქესი რიტუალში გადაშლილი. მოხსენებამ გამოიწვია დიდი ინტერესი.

მომხსენებელი ვრცლად შეეხო რომანს და საინტერესო ანალიზის შემდეგ მოხსენება დაამთავრა ასე: დღეს ევროპაში რკინის და ქარხნების საყვირები აყრუებენ პოეზიას, შესაძლებელია [illegible] პოეზიას ამოდგას ფეხი და შპენგლერის თქმით, ინჟინრებმა დაიკავონ პოეტების ადგილი. მაგრამ ეს რომანი თვალნათლივ [illegible] რომ არის ადგილი, არის მზე, რომელიც ანათებს პირველი ყოფილი სიძლიერით, რომლის დანახვა ევროპის გაშავებული ქუჩებიდან ელექტრონით დაღლილ თვალს არ შეუძლია, და არის მიწა, რომელიც პოეზიას მის [illegible]. ეს არის აღმოსავლეთი. აღმოსავლეთში არის უამრავი შესაძლებლობა და მე მრწამს ცივილიზაციის გამოცოცხლებისათვის და [illegible] რამდენიმე საუკუნე მაინც, შესაძლებელია ეს არც მოხდეს, რასაც სხვათა შორის ამტკიცებს რენე მარანის რომანი „ბატუალა". მომხსენებლის შემდეგ ილაპარაკა გრიგოლ რობაქიძემ, რომელმაც ჩვეულებრივი ენაწყლიანობით აღნიშნა რომანში ბევრი სხვა მიღწევანი და ბოლოს მომხსენებლის აზრში შეიტანა შემდეგი კორექტივი: აღმოსავლეთი ჯერ უნდა ეზიაროს ევროპის კულტურას, რომ მან შესძლოს ქალაქის [illegible] დაღლილი სულის გაჯანსაღება... და სანამ ხელოვანი, როგორც პიროვნება, პრიმიტიული იქნება, მისი შემოქმედება ვერ გასცდება ლაკონიურ ფორმულებს და მაშასადამე უკანასკნელ შემთხვევაში [illegible] ვერაფერს მისცემს. „ბატუალას" ავტორი რენე მარან რომ ნახევრად ფრანგი არ იყოს (მან თავის ცხოვრების მეტი წილი გაატარა პარიზში) ვერ შესძლებდა ასეთი შედევრის მოცემას. საღამო დასრულდა ღამის 10 საათზე.

რ. გ.

— **სახელმწიფო თეატრების აკადემიური მმართველობის განცხადება.** სახელმწიფო აკადემიურ თეატრების მმართველობა აცხადებს საზოგადოების საყურადღებოთ, რომ თეატრები რუსთაველის და ოპერის ყოველ წარმოდგენის დროს იქნება გამთბარი, რისთვისაც თეატრებში პალტოებით და ქუდებით შესვლა აკრძალულია ჰიგიენური პირობების დასაცავათ და თვით მსმენელების ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად. შაბათობით მუშები ზედსაცმელის შენახვას იხდიან 5,000 მან. წითელ არმიელებისათვის უფასოთ.

დღეს თეატრებში.

სახელმწიფო ოპერა—„ჰუგენოტები" ალეშკოს, პოპოვას, მახოვეცკის, სარაჯიშვილის, ინაშვილის, ისეცკის, საბინანის და სხ. მონაწილეობით. რუსთაველის თეატრი—სუმბათაშვილ-იუჟინის გასტროლი. სახალხო სახლი—გლაგულინას და ველერსკის გასტროლი.

მუშათა ცენტრალური კლუბი—რუსული წარმოდგენა „დურაკ". 2 რ-ე სახელმწიფო კონსერვატორია—მირიანაშვილის კონცერტი.

ცნიერო დაწესებულებათა სამმართველოს მუშაობა

ს. ს. რ. მეცნიერულ დაწესებულებათა სამმართველო დაარსდა მიმდინარე წელს აპრილის თვეში. მის გამგებლობაში არის: 1. საქართველოს მუზეუმი და საჯარო ბიბლიოთეკა. 2. ფიზიკური ობსერვატორია. 3. საქართველოს საისტორიო-საეტნოგრაფიო მუზეუმი. 4. მთავარი არქივი. 5. რევოლიუციის მუზეუმი. 6. ცენტრალური პედაგოგიური მუზეუმი. 7. სამხატვრო გალერეია. 8. ცენტრალური აკადემიური ბიბლიოთეკა 9. სამეგრელოს მუზეუმი (ზუგდიდში). 10. ქუთაისის საისტორიო-საეტნოგრაფიო მუზეუმი. 11. საბჭოთა აღმშენებლობის მუზეუმი. 12. საისტორიო-საეტნოგრაფიო საზოგადოება და 13. თბილისის ბიბლიოგრაფიული საზოგადოება.

ამათვე უნდა მიერიცხოს სამეცნიერო დაწესებულებათა ფილიალები (განყოფილებები): 1. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის სამეცნიერო-არქეოლოგიური ინსტიტუტი. 2. მოსკოვის არქეოლ. საზოგადოების კავკასიის განყოფილება. 3. კავკასიის გეოგრაფიული საზოგადოება.

ქვემოდ მოყვანილია იმ სამუშაოს სქემატიური ანგარიში, რომელიც შეასრულეს ამ დაწესებულებებმა საქართველოს გასაბჭოების დღიდან.

საქართველოს მუზეუმი

(1920—22 წ. წ.)

გარდამავალ ხანის დროს (1918 წ.) მუზეუმის ადმინისტრაციის მუშაობა გამოიხატა უმთავრესად შტატის შესანახ და მუზეუმის მეცნიერულ და სამეურნეო დარგებისათვის საჭირო საარსებო საშუალებათა გამონახვაში.

დირექცია გაეცნო რა დაახლოებით მუზეუმის საქმეთა ვითარებას, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ძვირფას კოლექციების სისტემატიზაციის და შენახვის საქმე სრულებით ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე. ასე, მაგ., ენტიმოლოგიის, ბოტანიკის, ზოოლოგიის და ეტნოგრაფიის მასალები ოთხ უკანასკნელ წლის განმავლობაში მეტადიშვიათად ტარდებოდენ სადეზინფექციო კამერაში; სპირტის მასალა ხომ სულ უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდა; ლაბორატორიის ბიბლიოთეკაში ზოგიერთ წიგნებს სულ არ ჰქონდა მუზეუმის ბეჭედი, ზოგიერთი კი არ იყო შეტანილი სიაშიც. დაუყოვნებლივ გამომუშავებული იქნა ყველა განყოფილებებისათვის მუშაობის გეგმა ასეთ უწესრიგობის აღსაკვეთად.

მუშაობის მთელი სურათის ნათლად წარმოსადგენად აუცილებელია მუზეუმის ცალკე განყოფილებათა მოღვაწეობის მოკლე განხილვა.

გეოლოგიური განყოფილება

მინეროლოგ. ა. თვალჭრელიძემ მოიყვანა წესრიგში დანის სისტემით მთელი მინეროლოგიური მასალა- პეტროგრაფ. გ. სმირნოვმა შეადგინა კავკასიის ყველა მთის მადნეულის (რაც კი იმყოფება განყოფილება). პეტროგრაფიული კოლექცია დამზადებული იქნა რამოდენიმე ათასი შლიფი გეოლოგ ნ. ყიფიანმა დაამუშავა, და მოაწესრიგა ლაზისტანის, გურიის, სვანეთის საჩინოს და ჭიათურის ვრცელი კოლექციები. ა. თვალჭრელიძემ გაამზადა დასაბეჭდათ: „თბილისის მიდამოების მინერალები“. გ. სმირნოვმა უკვე გადასცა დასაბეჭდათ—„ბორჩალოს პეტროგრაფია“. ნ. ყიფიანმა დაბეჭდა „დასავლეთ საქართველოს გეოლოგიის მასალები“ და დაამზადა დასაბეჭდათ: „ლაზისტანის გეოლოგია“, „თბილისის მიდამოების გეოლოგია“, „სამხრეთ სვანეთის პეტროგრაფია“, „საჩინოს გეოლოგიური აღწერა“. განყოფილების თანამშრომლებმა მოახდინეს შემდეგი ექსპედიციები: აჭარა-გურიის უღელტეხილზე (დაჰყვეს 1 თვე). ამ ექსპედიციაში მონაწილეობა მიიღეს ნ. ყიფიანმა, ა. თვალჭრელიძემ და გ. სმირნოვმა. მოწყობილი იყო აგრეთვე ხუთმეტი პატარა ექსკურსია თბილისის მიდამოებში. ნ. ყიფიანმა მოაწყო დიდი ექსპედიცია საჩინოში, სადაც დაჰყო 2 თვე.

ამრიგად განყოფილებამ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს რეგიონალურ გეოლოგიის შესწავლის საქმეს. ამ მეთოდიურ ექსკურსიებმა და ექსპედიციებმა შესძინეს განყოფილებას უმდიდრესი პალეონტოლოგიური, პეტროგრაფიული და მინერალოგიური კოლექციები, რომლებიც ნაწილობრივ უკვე დამუშავებულიც არის, ხოლო დანარჩენებზე მუშაობენ განყოფილების თანამშრომლები. განყოფილებაში მუშაობდენ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები პრაქტიკანტებათ. განყოფილებას ხშირად მიმართავდნენ ხოლმე გეოლოგიის მოყვარულნი, სამთო ინჟინრები ზოგიერთ ცნობებისათვის. ნ. ყიფიანმა საქართველოს მუზეუმის სახელით მოაწყო 18 საჯარო ექსკურსია თბილისის მიდამოებში.

ბოტანიკური განყოფილება.

უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში, მთელი მასალა ტარდებოდა სადეზინფექციო კამერაში, სამჯერ წელიწადში.

ბ. შიშკინმა დაბეჭდა 5 წერილი საქართველოს და კავკასიის მცენარეულობის შესახებ, შვიდი წერილი დამზადებულია დასაბეჭდათ. განყოფილებაში სამუშაოდ მოწვეული იქნა ნ. ვორონიხი „სპორის“ (споровых) მცენარეების ქვეგანყოფილების დასაარსებლად. ასისტენტმა ე. ქიქორის ქალმა დაამზადა დასაბეჭდათ „ატენის“ ხეობის ფლორა, ნ. ვორონიხინმა მისცა დასაბეჭდათ განყოფილების სპორის მცენარეთა სია; ვ. შიშკინმა შეასრულა რამოდენიმე ათეული ექსკურსია თბილისის მიდამოებში, ბორჯომში, ბაკურიანში, ატენის ხეობაში, ფლორის შესწავლის მიზნით; ვ. ვორონიხინმა მოახდინა ორი ექსკურსია მანგლისისა და ბორჯომ-ბაკურიანის რაიონებში. ამ სამი წლის განმავლობაში 1920—1922 წ. წ. ბოტანიკურ განყოფილებას შეემატა 227460 გერბარის მასალის ეკზემპლიარი, შედგენილია კატოლოგი: 1) დუბლეტის მასალის, 2) საერთო გერბარის, შექმნილია „სპორის“ გერბარი.

წარდგენილია დასაბეჭდათ შემდეგი მასალები—„ახალი გამოკვლევანი თბილისის მიდამოების ფლორის შესახებ“, „კავკასიის ახალი, იშვიათ მცენარეების შესახებ.“

ზოოლოგიური განყოფილება.

განყოფილების კოლექციები წელიწადში სამჯერ ტარდებოდა გოგირდნახშირბადში-კამერაში, ივ. ჩხიკვიშვილმა მისცა დასაბეჭდათ: „კავკასიის ფაუნის კრიტიკული განხილვა,“ რიდენკომ დაბეჭდა „დაღესტანის (суслик) კვირდღელი, ა. ილინსკიმ გადასცა დასაბეჭდათ: ორი წერილი ენტომოლოგიის დარგიდან. განყოფილების თანამშრომელნი აწყობდენ ექსკურსიებს, მოწყობილი იყოაგრეთვე შვიდჯერ ნადირობა მხეცებზე ყარაიაზის რაიონში. განყოფილებას შეემატა 49,757 ეგზემპლიარი 4.000 ეკზემპლიარზედ მეტი კავკასიის მხვრელებზე. ტაქსიდერმიულ ქვეგანყოფილებამ დაამზადა ჯგუფები: 1) გარეული ცხვარი, სპარსული (баруск), ფრინველები სულ 50 ეკზემპლიარი. სულ შეეძინა განყოფილებას 55,000 მეტი ეგზემპლიარი.

დამზადებულია დასაბეჭდათ ი. ჩხიკვიშვილის: „კ. ა. სატუნინის კავკასიის კუთხის ფრინველთა სისტემატიურ კატალოგის დამატებანი და შესწორებანი“.

ეტნოგრაფიული განყოფილება. განყოფილების უმთავრესი ყურადღება მიქცეული იყო ვრცელ კოლექციების, კოსტიუმების და სხ. ეტნოგრაფიულ საგნების შენახვა—დაცვაზე. მხატვარ კ. ლანსერემ და მატიასევიჩმა დაამზადეს რამოდენიმე ათეული კოსტიუმი და სხვ. საგნები. 1920—1921 წ. წ. განყოფილებაში შემოსულია სულ 818 საგანი—ყველა ახალად შეძენილი საგნები შეტანილია სათანადო კატალოგში. განყოფილების თანამშრომლები აგროვებდენ მასალებს ქართლის კლდიან მხარეში და ბათომის მიდამოებში.

არქეოლოგიური განყოფილება განყოფილების თანამშრომლებმა წესრიგში მოიყვანეს ყველა მასალები. შემოვიდა მრავალი საარქეოლოგიო მასალები, სულ 724 საგანი.

ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკამ ამ 1920—1922 წლებში შეიძინა 6.000 სამეცნიერო წიგნი და ადგილობრივი პერიოდული გამოცემა. ბიბლიოთეკის გამგემ გამოიმუშავა რეგისტრაციის სისტემა და განსაკუთრებულ კატალოგებში შეჰქონდა ყველა ახლად შემოსული წიგნები.

მუზეუმის გამოცემები. ბეჭვდის საქმის მძიმე პირობების მიუხედავად, საქართველოს მუზეუმმა შესძლო ორი ნაშრომის და ცალკე „საქართველოს მუზეუმის უწყების გამოქვეყნება“. მუზეუმის რედაქციაში მოიპოვება ფრიად საინტერესო ნაშრომები: 1) ს. კრუკოვსკი: „პალეოლიტი—გვარჯილას კლდე“, 2) ბ. შიშკინი—„ლაზისტანის ფლორა“, 3) ნ. ყიფიანი—„ლაზისტანის გეოლოგია“, 4) პ. სვირიდენკო—„ამიერ-კავკასიის суслик—ების სისტემატიკისათვის“, 5) ნ. ყიფიანი—„ქ. თბილისის მიდამოების გეოლოგია“, 6) შიშკინი—„თბილისის მიდამოების ფლორა“ და სხვა.

პროფკავშირებში

თელავის სამაზრო პროფბიუროს მუშაობა ნოემბერში

სამაზრო პროფკავშირების ბიურო აერთებს 4 სამაზრო განყოფილებას და 3 ადგილკომს.

წევრების რაოდენობა ცალ-ცალკე კავშირებში არის შემდეგი:

1) საბჭოთა მუშაკების პროფკავშირი 290 წევრი. 2) განათლების მუშაკთა კავშირში 250 წევრი. 3) შეერთებული სახალხო კავშირში 98 წევრი. 4) საექიმო-სასანიტარო კავშირში 82 წევრი. 5) მიწა-ტყეზე მომუშავე ადგილკომში 90 წევრი. 6) მეტყევეთა ადგილკომში 69 წევრი. 7) კომუნალურ მეურნეობის ადგილკომში 25 წევრი. სულ 904 წევრი. აღნიშნულ რიცხვში არ შედიან სახალხო მამულების მუშა-მოსამსახურეები (წინანდლის, ნაფარეულის), რომელნიც უშუალოდ ექვემდებარებიან მიწა-ტყის კავშირის ც. გ. აღნიშნულ პერიოდში პროფბიუროს პრეზიდიუმს ჰქონდა 3 სხდომა, სამაზრო განყოფილებების მდივნების პროფბიუროს, მდივანთან ერთად 4 სხდომა, აგრედვე შესდგა ორი გაფართოვებული პლენუმი.

გარჩეული იყო სულ 16 საკითხი, რომელთაგანაც საორგანიზაციო ხასიათისა იყო 9, კულტურულ-განმანათლებელი ხარიათისა 4, ეკონომიურის 2 და საფინანსო 1.

ამავე პერიოდში პროფბიუროს სამაზრო განყოფილებებს დაუგზავნა 4 ცირკულიარი, ადგილობრივი საორგანიზაციო და კულტურული განმანათლებელი მუშაობის გამოსაცოცხლებლად და მაღალ წერტილზედ დასაყენებლად.

პროფბიუროს მიერ რამდენჯერმე იყო გაცემული განკარგულება განყოფილებების მიმართ, რომ აიძულონ თავიანთი კავშირის ყველა წევრები მუშათა კლუბის კოოპერატივის წევრებათ ჩაწერაზედ.

თანახმად სრულიად საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს საორგანიზაციო განყოფილებების განკარგულებისა, ტარდება ცალკ-ცალკე სამაზრო განყოფილებების წევრთა გაწმენდა და ხელ ახალი რეგისტრაცია, რომელიც ზოგიერთმა კავშირმა უკვე მოათავა და სულ მოკლე ხანში მთლიანად დამთავრებულიც იქნება.

წერა კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ მიღებულია ზომები, არჩეული იყო ამხანაგი, რომელმაც ამ მიზნის განსახორციელებლათ შეკრიბა ზოგიერთი საშუალებანი, როგორც 27 ფუთი ხორბალი. 10 ნოემბრიდან უკვე გახსნილ იქნა და დაიწყო თავისი მოქმედება უცოდინართობის სალიკვიდაციო სკოლამ. მოსწავლეთა რიცხვი უდრის 35. მსურველები თუმც კიდევ არიან, მაგრამ პროფბიუროს არა აქვს სახსარი. პროფკავშირების ბიუროსთან არსებობს მუშათა კლუბი. კულტურული მუშაობის გასაძლიერებლად პროფბიუროს მიერ არის მიღებული ყოველიკე ზომები, რათა ახლო მომავალში პროფბიუროს მუშათა აუდიტორიაში იკითხებოდეს ლექციები სხვა და სხვა დარგიდან.

უკვე ჩატარებული იქნა სოციალური დაზღვევის კამპანია თელავში, ნაფარეულში და წინანდალში. გაკეთებულ იქნა მოხსენება სრულიად რუსეთის პროფკავშირების მეხუთე ყრილობის შედეგების და დადგენილებების შესახებ.

განმანაწილებელ განყოფილებაში აღნიშნულ ხნის განმავლობაში გამოცხადდა 78 უმუშევარი, ამათგან 66 მამაკაცი და 12 დედაკაცი. ამათთან იყვნენ გაგზავნილი სამაზრო მუშაობაზე 3 კაცი და ერთი ქალი, მოხსნილი არიან აღრიცხვიდან გამოუცხადებლობის გამო 8 კაცი და 4 ქალი.

კონფლიქტების საქმე წარმოებაში იყო 53, აქედან გადასწყდა 28 მუშათა სასარგებლოდ, წარმოებაში იმყოფება 8 საქმე, გადაიდო მხარეთა გამოუცხადებლობის გამო 17 საქმე.

ირაკლი კაშირია.

წერილები რედაქციის მიმართ

პატივცემულო რედაქტორო!

გთხოვთ დაგვიბეჭდოთ გაზეთ „კომუნისტში“ შემდეგი:

ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი, საქართველოს სოციალ დემოკრატიული (მენშევიკების) პარტიის წევრნი, საჭიროთ ვთვლით საქვეყნოთ ვაღიაროთ, რომ მენშევიკურმა პარტიამ ვერ დაამტკიცა თავისი სიმტკიცე მუშათა კლასის დაცვაში, ის ჩამოშორდა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის რევოლიუციონურ გზას და გადაიხარა საერთაშორისო იმპერიალიზმისაკენ. ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებამ სამუდამოდ დაამტკიცა, რომ საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია არის ნამდვილი ერთგული დამცველი მშრომელი ხალხის ინტერესებისა. ის მედგრად იცავდა და იცავს მუშათა კლასის ინტერესებს და მუდმივ ფხიზლად დგას რევოლიუციის სადარაჯოზე. ამის შემდეგ ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია დავრჩეთ მენშევიკური პარტიის რიგებში; ჩვენ მას ვტოვებთ შეგნებულათ და ვიბრძოლებთ საბჭოთა ხელის უფლების გასაძლიერებლად და განსამტკიცებლად.

სოლომონ არეშიძე—პარტიის წევრი 1903 წლიდან.

გაბრიელ გიორგის ძე ირემაშვილი—პარტიის წევრი 1905 წლიდან.

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ გაზეთ „კომუნისტის“ ახლობელ ნომერში მოათავსოთ შემდეგი განაცხადა.

მე არას დროს არ ვყოფილვარ სოციალ დემოკრატიულ (მენშევიკური) პარტიის წევრი; ყოველთვის ვიყავი ამ უკანასკნელის შეურიგებელი მოწინაამღდეგე. რევოლიუციის პირველ ხანებში ვმუშაობდი სოციალ-ფედერალისტებთან, რომელთაც ჩამოვსცილდი 1920 წ. 15 ივნისის. ოქტომბრის რევოლიუციის პირველ დღეებიდან ვარ თანამგრძნობი კომუნიზმის და მზათ ვარ ყოველ მხრივ დავეხმარო მუშათა და გლეხთა ძალაუფლებას თვისი დიადი მიზნების განხორციელებაში.

ა. გაგოშიძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— სამშაბათს, 26 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე შესდგება ი. თალაკვაძის მარქსისტული წრის (ქართულ ენაზე) კრება საქარ. კ. პ. ტფილისის კომიტეტის შენობაში.

— ხუთშაბათს, 28 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე ცენტრ. პარტიულ სკოლის შენობაში (ყოფ. 1-ლ ვაჟთა გიმნაზია) შესდგება ამხ. ნოვიკოვის ხელმძღვანელობით სტუდენტთა მარქსისტული წრის კრება.

— სამშაბათს, 26 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტის შენობაში დანიშნულია ამხ. გინსბურგის საინსტრუქციო მოხსენება შემდეგ თემაზე: „მუშათა მოძრაობა დასავლეთში და კაპიტალის შემოტევა“ (პროფინტერნის ყრილობის გამო). იაჩეიკების ხელმძღვანელთა დასწრება სავალდებულოა იმის გამო, რომ ეს თემა დასმული იქნება დღის წესრიგში მახლობელ ერთიან პარტიულ დღისათვის.

— საქ. კომუნისტურ პარტიის ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება სამშაბათს, 26 დეკემბერს დილის 10 საათზე იწვევს საქ. კომუნ. პარტ. რაიონულ კომიტეტების სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათა გამგეების თათბირს.

დღის წესრიგი:

1. სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათა გამგეების მუშაობის შესახებ.
2. მიმდინარე საკითხები.

— საქ. კომუნისტურ პარტიის ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება ორშაბათს, 25 დეკემბერს, დილის 10 საათზე, იწვევს აგიტ. კოლეგიის სხდომას.

დღის წესრიგი:

1. საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტ. განყოფილების მოხსენება.
2. კავკასიის ცალკე არმიის პოლიტიკურ მართველობის წარმომადგენელის მოხსენება.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის აღმრიცხავ-სტატისტიკური ქვე-განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. ა. პასეჩნომს გამოცხადდეს აღმრიცხავ-სტატისტიკურ ქვე-განყოფილებაში დაკარგულ დოკუმენტების მისაღებად.

— საქართველოს კომპარტიის მე-4ე რაიკომი აცხადებს, რომ დღეს 26 დეკემბერს საღამოს 5 საათზე ქალაქის აღმასკომის სათათბირო დარბაზში გაიმართება მე-4-ე რაიკომის დელეგატების პირველი განახლებული კრება. აღნიშნულ დროისათვის ყველა იაჩეიკებმა უნდა გამოგზავნონ თავისი წარმომადგენელნი. დღის წესრიგშია განყოფილების მოხსენება.

მე-4-ე რაიონის პასუხისმგებელი მდივანი **რუზენი.**

პროფესიონალური

— სამშაბათს, 26 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე რკინისგზელთა პროფკავშირის ბინაზე შესდგება ამხ. მედვედიევის (რუსულ ენაზე) მარქსისტული წრის კრება.

— განათლების მუშაკთა კავშირი ამით გაცნობებთ, რომ ა. წ. 20 დეკემბრიდან 27-დე არის რეგისტრაცია ყველა სკოლის გარეშე მომუშავე პირთა, როგორც ეხლა, ისევე წარსულში (მუზეუმები, ბიბლიოთეკები, უცოდინართა ლიკვიდაცია და პირველი საფეხურის სკოლა). რეგისტრაცია სწარმოებს ყოველ დღე კავშირის ბინაზე (მუშ. სასახლე, ოთახი № 36 ამხ. მეგრელიძესთან).

განცხადებები

თავზარდაცემული მშობლები: იასონ და თამარ, დაიკო: ქეთინო და ძამიკო: გოგი გაბილაია ცრემლმორევით აცნობებენ თავის ნათესავთ, მეგობრებსა და ამხანაგებს, რომ ულმობელმა სიკვდილმა 22 დეკემბერს საღამოს 9 ნახევარ ს. უდროვოთ წამოსტაცა მათ მეორე უსაყვარლესი არსებაც

აბესალომ იასონის ძე გაბილაია

(კუკური—კუკა—ტოტა—ტოტიკო), პირველთა ვაჟიკო, მეორეთა ძამიკო, დასაფლავების დღე გულიკოსთან ერთად, ცალკე იქნება გამოცხადებული. ბინა: უნივერსიტეტის ქუჩა, № 4. (717—1)

სახელმ.
აკადემ.
თეატრი
ოპერა.

კასსა ღიაა
11—3 ს.
და საღამ.
6 წარმოდგენის დამთავრებამდე

დღეს, 26 დეკემბერს

ჰუგენოტები

დასაწყისი სრულ 8 საათზე.

მე-3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია.

(კრ. 785—1—1)

გამომცემელი ამხანაგობა „სორაპანი“ ქ. თბილისი

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ თვიური და დღიური კედლის

1923 წ. კალენდარი

შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ

„სორაპანის“ ამხ. აქვს გახსნილი წიგნის საჯარო გიორგიევის ქუჩაზე № 5. დარაბა № 1118 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. მაღაზიაში იყიდება წვრილად და ბითუმად როგორც წიგნები აგრეთვე ყოველგვარი კალენდრები, ქართული, რუსული, სომხური. მსურველთ ეგზავნება ფოსტით ზედ დადებული ფასით. მისამართი: გიორგიევის ქ. № 5. ამხ. „სორაპანი“ მიხეილ გაჩეჩილაძეს. (675—4—4)

მოწოდება

ტფილისის მცხოვრებლებისადმი

ამხანაგებო და მოქალაქენო!

ტფილისის ქალაქის აღმასკომი შეუდგა მეტად საპასუხისმგებლო საქმის გაკეთებას, ტფილისის ელექტროფიკაცია,—ეს მეტად დიდმნიშვნელოვანი და ისტორიული საქმეა. მუშაობა ამ საქმეზე უკვე დაწყებულია. გიდრო ელექტრონის სადგურს უკვე ჩაეყარა საძირკველი ზემო-ავჭალაში და რამოდენიმე ასეული მუშა და სპეციალისტები აწარმოებენ მუშაობას. ტეხნიკური მასალები და საჭირო მანქანები გამოწერილია და მოდის საზღვარგარეთიდან.

ისტორიული საქმე, რომელიც წინეთ ფანტაზიათ იყო ცნობილი, ხორციელდება და მალე ტფილისს ექნება იაფი ენერგია, რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნება ტფილისის უკეთ განათება, წყლის მოწოდების საქმის გაუმჯობესება, ფაბრიკა-ქარხნების ამუშავება და ყოველგვარ კომუნალურ დაწესებულებათა რაციონალური მოწყობა.

მაგრამ ამ დიდ საქმეს ესაჭიროება დიდი თანხა. არც მთავრობას, არც ქალაქის აღმასკომს არა აქვს საშუალება, რომ ეს დიდი საქმის ხარჯები დაფაროს თავისი ჩვეულებრივი შემოსავლით.

საჭიროა თვით მცხოვრებლები დაეხმარონ მას ამ საქმის დაგვირგვინებაში. ამიტომ სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ, 7 ამ დეკემბერს, დაადგინეს შემოღებულ იქნას ტფილისში სპეციალური სამოქალაქო გადასახადი, რომელიც მოხმარდება მხოლოდ გიდრო ელექტრონულ სადგურის აგების საქმეს.

გადასახადს იხდის ყველა შეძლების დაგვარათ.

ამ საერთო საქმეში თავისი წვლილი შეაქვს ყველას, როგორც მუშა-მოსამსახურეებს ისე დანარჩენ მოქალაქეებსაც და შეძლებულ კლასს.

ქალაქის აღმასკომი მოუწოდებს მცხოვრებლებს შეასრულონ თავიანთი მოქალაქეობრივი მოვალეობა, დაეხმარონ ქალაქის აღმასკომს გადასახადის დროზე შემოტანით და ამნაირათ მოგვცენ ჩვენ საშუალება პირნათლად დავასრულოთ ის საქმე, რომელსაც აქვს საშვილიშვილო მნიშვნელობა.

თბილისის ელექტროფიკაციის საქმე ტფილისის მცხოვრებთა ხელშია. მხოლოდ მათი დახმარებით, მათი ამ საქმეში მხურვალე მონაწილეობით შეიძლება ამ დიდი საქმის გაკეთება.

ვისაც სურს აყვავდეს და განვითარდეს თბილისის ეკონომიური და კულტურული ცხოვრება, ის აუცილებლათ დაგვეხმარება ამ საქმეში.

ვისაც სურს, რომ ახლო მომავალში უზრუნველ-ყოფილი იქნეს სინათლით, წყლით და სხვა კომუნალური დახმარებით, ის თანაგრძნობით შეხვდება ამ საქმეს და ყოველ მხრივ დაგვეხმარება ამ მძიმე მოვალეობის შესრულებაში.

მუშებო. მუშათა იდეალის სრული განხორციელება ტეხნიკის უმაღლეს განვითარების ისტორიული გზითაა შესაძლებელი.

ელექტროფიკაცია—ტეხნიკის განვითარებაა. ამ საქმეში თქვენ უნდა იყოთ პირველ რიგში. თქვენ მიერ ნაჩვენები მაგალითი უნდა იყოს მისაბაძი ყველასათვის.

მოქალაქენო. თბილისის ელექტროფიკაცია სახალხო მნიშვნელობის საქმეა. თბილისის კეთილ მოწყობა, გამშვენიერება და ცხოვრების პირობების სასურველათ დაყენება,—ეს თქვენს პირად ინტერესსაც შეადგენს.

ამიტომ ამ საქმეში ყველა უნდა იღებდეს აქტიურ მონაწილეობას, არავინ არ უნდა ჩამორჩეს უკან.

სამოქალაქო გადასახადი—ეს დიდი ნივთიერი და ამავე დროს მორალური დახმარებაა ქალაქის აღმასკომისადმი.

და ჩვენ ველოდებით ამ დახმარებას თბილისის მცხოვრებთაგან.

ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარე **ლ. დუმბაძე.**
სამოქალაქო გადასახადის გამტარებელ
საგანგებო კომისიის თავმჯდომარე **ბ. ქიქნაძე.**
მდივანი **ხუნდაძე.**

კრ. 795 (1—1)

საქართველოს ტეხნიკური სააღმშენებლო ბიურო

„სატსამშო“

მთავარი სამმართველო: ტფილისი, თავისუფლების მოედანი № 3 ტელ. 3—26, დეპეშის მისამართი—ტფილისი, „სატსამშო“, განყოფილებანი: ბერლინში, ბუხარაში, ახალ სენაკში

ყველაფერი **ელექტროფიკაციისათვის**

ელექტრონის დანადგარები, ტეხნიკური მოწყობილებანი, ჰიდრავლიური სამუშაოები.

საწყობებში მუდმივად არის ყოველგვარი ელექტრ. და ტეხნიკურ მასალების დიდი რაოდენობა. (კრ. 682—10—5)

დოქტორი **ბ. მეგრაბიანცი**

„უ. ასისტენტი ბერლინის უნივერსიტეტის კლინიკებისა“

შინაგანი ფილტვების—ჭლექი და გულის ავადმ. სპეც. წამლობა მალარიისა ზაზ. 914 რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლობის კაბინეტი.

იღებს 9—12 ს. დილის და 5—7 ს. საღ.

ბებუთოვის ქუჩა № 23. (684 25—15)

ამიერ-კავკასიის საბჭ. სოც. რესპუბლიკების ფედერაციის რკინის გზათა სამმართველოს

განცხადება

ჯანმრთელობის განყოფილებისადმი

ა/წ. 28 დეკემბერს, დღის 12 საათზე ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოს შენობაში (ანდრეევის ქ. № 101) დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ტფილისის რკინ. გზ. საავადმყოფოს და სად. ტფილისის პროდუქტების დამზადებელ პუნქტისათვის 1923 წ. 1 იანვრიდან—1 აპრილამდე შემდეგი პროდუქტების მისაწოდებლად:

ა) ხორცი და ქონი, ბ) კვერცხი და ქათმები, გ) კეფირი, დ) კომბოსტო, კარტოფილი, ჭარხალი, ხახვი, პამიდორი, ლობიო, ბრინჯი, ბურღული (МАННАЯ КРУПА), კარტოფილის ფქვილი, ვერმიშელი, ერბო, ტომატი, ბადრიჯანი, მწვანილეულობა და სხვა, და

კუბოების დასამზადებლად.

საჯარო ვაჭრობა მოხდება ფასების განცხადების საშუალებით დახურულ კონვერტებში და იმ პირთა დაშვებით, რომელთაც სიტყვიერათ სურთ მიიღონ მონაწილეობა ვაჭრობაში. ხოლო ის პირი, რომელთაც წარმოადგინეს განცხადებანი დახურულ კონვერტებში, უფლება აღარ ექნებათ სიტყვიერ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებისა.

ის პირნი, რომელნიც წარმოადგენენ განცხადებებს და აგრეთვე ისინიც, ვისაც სიტყვიერ ვაჭრობაში სურთ მონაწილეობის მიღება, საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე ადგენენ ოქროს [illegible] 10 პროც. დღის კურსის მიხედვით.

საქონლის დამზადება შეიძლება აღებულ იქნეს ან მთლიანად ან ნაწილობრივ, როგორც განცხადებაშია აღნიშნული.

ფასები განცხადებაში ნაჩვენები უნდა იყოს ოქროს ფულით.

კონდიციების და ცნობების მიღება ვაჭრობის შესახებ, შეიძლება ჯანმრთელობის განყოფილების სამეურნეო ქვე-განყოფილებაში ყოველ დღე, გარდა კვირა უქმე დღეებისა დღის 12—2 საათამდე.

განცხადების წარდგენის უკანასკნელი ვადა თავდება 20 დეკემბერს დღის 12 საათზე.

კრ. 768 (2—2)

დედებო!

სამშობიარო სახლიდან გამოსვლის შემდეგ ძუძუ მწოვარა ბავშვთა აღზრდის შესახებ რჩევა-დახმარებისათვის მიმართეთ ქვემო ჩამოთვლილ [illegible]ტაციებში:

1. **ვერის**—ბოზარჯიანცის თამბაქოს ქარხანაში.
2. **მიხაილოვის**—რეუტოვის და ნიკოლოზ. ქ. კუთ. 43.
3. **სადგური**—სადგურის ქ 8, ენფიანჯ. თამბაქ. ქარხ.
4. **ორთაჭალის**—ვორონცოვის ქ. ადელ[illegible]
5. **ავლაბრის**—მეტეხის ქ. № 10.

(761 5—5) მედიცინის ექიმი **შენგელიძე.**

სახლი

განმარტოებულად მდგარი და თავისუფალ ბინით, [illegible] და იყიდოს ან გაყიდოს უნდა მიმართოს მამადავითის ქ. № 3, ბინა № 2, რუსთველის პროსპ. გვერდით 11—2 ს ათამდე და 5—7 საათამდე.

691—12—5

ქ. ტფილისის 1-ლი უბნის სახალხო სასამართლო

ამით აცხადებს, რომ 1922 წ. დეკემბრის 21 ს მის დადგენილებით დამტკიცდა აღსასრულებლად გარდაცვალებულის ლიუდვიგ ავგუსტის ძე ვენტლანდის ანდერძის წერილი, შედგენილი ქ. ტფილისის ნოტარიუს ივანე ივანეს ძე სტრახოვის მიერ 1918 წ., 15 ივლის დღეს, შეტანილი ნოტარიუს სტრახოვის 1918 წ. აქტის წიგნის მე-10 ნაწილში, გვერდი 18, [illegible]

(710—1—1) სახალხო მოსამართლე **ა. ჩაჩავა.**

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის მოწმობა, მიცემული ტფილისის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან 25 იანვარი 1922 წ. № 206. კონსტანტინე შანიძის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. (715—1—1)

ღვინის-სპირტის-კონიაკის სახელმწიფო

ტრესტი

ს. ს. ს. რ. სახალხო მეურ. უმაღლეს საბჭოს სახელმწიფო ღვინის ტრესტი

გამგეობა: ტფილისი, სასახლის ქ. № 6. ტელ. 16—52.

სახელმწიფო ღვინის ტრესტი აწვდის ყველას განუსაზღვრელად და დიდი რაოდენობით ნაწარმოებს მისი საკუთარი ქარხნების:

ქარხანა № 1. ყოფ. დ. ზ. სარაჯიშვილის—ლენინის ქ. № 30.
ქარხანა № 2. ყოფ. ამხ. „არგო“-სი—ნიკოლოზის მოედ. № 13.
ქარხანა № 3. ყოფ. დ. ე. კალანდაძის—ვაგზლის ქ. № 5.
ქარხანა № 4. ყოფ. სოგომონოვის—გომი, გორის მაზრა.
ქარხანა № 5. ყოფ. პრონტცერის—სოფ. აბასთუმანი, ზუგდიდის მაზრა.
ქარხანა № 6. ყოფ. სიხარულიძის—კამოს ქუჩა № 68.
ქარხანა № 7. ყოფ. ავჭალის შუშ. ქარ. ლენინის სახელობის—ქვემო ავჭალა.

ღვინის ტრესტის განკარგულებაში იმყოფება აგრეთვე ლაბორატორია ყოფ. ვილარეტისა.

ამჟამად შუშეულობის ქარხანა ამზადებს ყველანაირ შუშეულობას. მაგალითად: **ბოთლები**—კონიაკის, არაყის, ლუდის; **ჭიქები**—ჩაის, ღვინის, არაყის, ლუდის—სხვა და სხვა ფირმის; **ნალბაქები**—ჩაის. **სარძევე გრაფინები**; **ბანკები**—მურაბისათვის; **ბანკები**—თაფლისათვის.

„მეიდინგერის“ ელემენტების ნაწილები

მილები—წყლის საზომი; **მილები**—ნავთის საზომი. **აფთიაქის შუშები. ლამფის შუშები**—სხვა და სხვა ზომის, **კრუჟკები, მაზის შუშები** და **შუშეულობის** სხვა და სხვა ნაწილები.

დაკვეთები მიიღება როგორც გამგეობაში, ისე ქარხანაში—ავჭალა.

ტრესტის არაყის გამოსახდელი და სარექტიფიკაციო ქარხნების ნაწარმოები

1. **სპირტი** რექტიფიკ. 95—96 გრ. (პურის და ქიშის)
2. **არაყი** პურის და ქიშის.
3. **კონიაკები** ყოფ. სარაჯევის ფირმის
   „ „ „ O. C.
   „ „ „ 4*
   „ „ „ 3*
4. **კონიაკები** ყოფ. „არგოს“-ი
   „ „ „ ფინ შამპან.
   „ „ „ 4* 3 ასოთი
   „ „ „ 3* 3 ასოთი.

იძლევა რა გარანტიას თავის ნაწარმოების მაღალ ღირსებაში, რომელსაც ქარხნის ეტიკეტებისა და სპეციალური იარლიკების გარდა აქვთ სახელმწიფოს ღერბი, სახელმწიფო ღვინის ტრესტი სდევნის ასეთების სიყალბეში და ფალსიფიკაციაში შემჩნეულებს.

სპირტის და მაგარი სასმელების გატანა საბჭოთა საქართველოს საზღვრებიდან ხდება მხოლოდ სახელმწიფო ღვინის ტრესტის ნებართვით.

სახელმწიფო ღვინის ტრესტი შეუდგა **პორტვეინის** და **შამპანიურის** დამზადებას.

კრახმალის ქარხანა, რომელიც ახლო მომავალში მოეწყობა (№ 6 ქარხანასთან) გამოუშვებს ბაზარზე საკუთარი წარმოების კრახმალს და დექსტრინს.

ქარხანა № 6 მომავალში გამოუშვებს ბაზარზე **ლუდს** და **ხელოვნურ ყინულს**, ხოლო ყოფ. ვილარეტის ლაბორატორია—მთავარ პრეპარატებს.

გამგეობა.

(კრ. 692—0—10)

ტირაჟი 10,000 ს. ს. ღ. ფ.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიული განყოფილების მე-2 სტამბა კრუზენშტერნის ქ. № 4.